# დროშა

თებერვალი
№ 2 1978 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 2 (494) თებერვალი, 1978 წ.

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1978.

**დიდება საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს!**

60

მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე, თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.

კორექტორი ქეთევან წერეთელი

# ერთსულოვნება პარტიისა და ხალხისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1977 წელი ჩვენმა ქვეყანამ გმირული შრომითა და თვალსაჩინო წარმატებებით დაამთავრა. საბჭოთა ხალხმა შარშან ზეიმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი, მიიღო ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონი — მთელს მსოფლიოში ყველაზე ჰუმანური და დემოკრატიული კონსტიტუცია, შესრულდა სახელმწიფო საგეგმო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი.

ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში წარმატებით განხორციელდა სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი. ბევრის მეტყველია ის ფაქტი, რომ განვლილ პერიოდში ჩვენი სამშობლოს ეროვნული შემოსავალი 9 პროცენტით გაიზარდა, სამრეწველო წარმოების მატებამ 10,8 პროცენტი შეადგინა, მარცვლეულის საშუალო წლიურმა მოსავალმა 209,6 მილიონ ტონას მიაღწია, მეცხრე ხუთწლედის 181,6 მილიონ ტონასთან შედარებით.

მნიშვნელოვნად ამაღლდა მოსახლეობის მატერიალური და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონე. საბინაო პირობები გაიუმჯობესა თითქმის 22 მილიონმა კაცმა, აშენდა მრავალი ახალი სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღი, სამედიცინო თუ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულება.

კიდევ უფრო ამაღლდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი. პოზიციები განიმტკიცა მსოფლიო სოციალიზმმა, რომელიც სულ უფრო მკაფიოდ ავლენს თავის დიდ უპირატესობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა მოიწონა და სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ერთსულოვნად დაამტკიცა ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმა. ეს გეგმა ითვალისწინებს ეკონომიკის შემდგომ ზრდას, მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელ ამაღლებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე თავის ღრმაშინაარსიან გამოსვლაში საფუძვლიანად გააანალიზა ხუთწლედის ორ წელიწადში სახალხო მეურნეობის განვითარება, დასახა ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები, განსაზღვრა პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის მორიგი ამოცანები.

ჩვენმა მშრომელებმა თავიანთი ცხოვრების ყოველდღიურ სამოქმედო პროგრამად გაიხადეს დეკემბრის პლენუმის ბრძნული გადაწყვეტილებები, ის დებულებები, დასკვნები, ის ღრმააზრობრივი წინასწარდასახულობანი, რომლებიც ამ პლენუმზე თავის სიტყვაში წამოაყენა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამას წინათ რესპუბლიკის მშრომელთა კონკრეტული ამოცანების განსაზღვრას მიეძღვნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმი. პლენუმმა ჩამოაყალიბა და ნათლად გამოკვეთა ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მორიგი საბრძოლო ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებიდან, ამ პლენუმზე წარმოთქმული ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვიდან, სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის მასალებიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII. პლენუმმა ღრმად და კონკრეტულად გააანალიზა ხუთწლედის ორი წლის მანძილზე რესპუბლიკაში მიღწეული წარმატებები, აღინიშნა, რომ მოპოვებული წარმატებები იმ უდიდეს ღონისძიებათა შედეგია, რომლებიც რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ განახორციელა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა მოთხოვნილების შესასრულებლად გაშლილ ბრძოლაში.

პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ 1978 წელი უნდა გახდეს იმ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ შემდგომი ფართო შეტევის წელი, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში. დისციპლინის დამრღვევთა, ჩამორჩენილთა წინააღმდეგ ბრძოლა ბოლომდე უნდა მივიყვანოთ, გვერდი არ უნდა ავუაროთ მომხვეჭელობისა და პროტექციონიზმის, მექრთამეობის, მოვალეობის შესრულებაში დაუდევრობის, უსულგულობის არც ერთ ფაქტს.

ჩვენს წინაშე ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა თითოეული კომუნისტის, თითოეული უპარტიო მშრომელი ადამიანის ერთ-ერთი უპირველესი და კვლავაც ძირეული ამოცანა უნდა იყოს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმმა საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად დარაზმა, რომ უფრო ფართოდ გამოიყენონ მოწინავეთა გამოცდილება, მკვეთრად აამაღლონ მუშაობის ხარისხი და წარმოების ეფექტიანობა, რაციონალურად გამოიყენონ შექმნილი ეკონომიკური პოტენციალი, დააჩქარონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, შემოქმედებითად ეძებონ შიდასამეურნეო რეზერვები და შესაძლებლობანი საგეგმო დავალებათა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებისათვის.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

მეათე ხუთწლედის დამკვრელური წლის სტარტზე დიდი შრომითი აღმავლობა სუფევს ჩვენს რესპუბლიკაში. ყველა გამრჯე და პატიოსანი ადამიანი იბრძვის, რათა თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში, სამშობლოს წინაშე პირნათლად მოიხადოს ვალი, ახალი გამარჯვებებით დაიმშვენოს ნაცადი მარჯვენა.

ამ შემოქმედებითი შრომით აღსავსე ბევრისმეტყველ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი მიმართული პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი „1978 წლის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

ამ შთამაგონებელმა პოლიტიკურმა დოკუმენტმა, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად, ახალი შემართებითა და დაუცხრომელი ენთუზიაზმით აღავსო ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები.

წერილში ღრმად, მეცნიერულად, ამომწურავად არის გაანალიზებული წინა ორი წლის მანძილზე ჩვენი სახალხო მეურნეობის მიღწევები, დასახულია ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და სახალხო მეურნეობის შემდგომი წინსვლის ნათელი გზები.

წერილი მოუწოდებს მშრომელებს, უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, მეტი დარაზმულობით იბრძოლონ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით მიიღო დადგენილება საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მასობრივ-პოლიტიკური, ორგანიზატორული და პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ.

ამ დადგენილებაში ნათქვამია:

„საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ რესპუბლიკის მშრომელები, მათი ავანგარდი — კომუნისტები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას — გადააქცევენ 1978 წელს დამკვრელური შრომის წლად და ახალ წარმატებებს მიაღწევენ პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში“.

მშრომელთა აღრფთოვანება, საყოველთაოსახალხო ინტერესი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრლური კომიტეტის წერილმა გამოიწვია, — წარმატების ურყევი საწინდარია: საქართველოს მშრომელები, ეჭვს გარეშეა, 1978 წელს აუცილებლად გადააქცევენ დამკვრელური შრომის წლად, ახალ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწევენ პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში.




ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ჟურნალის თანამშრომელი ოთარ დემეტრაშვილი ეწვია გამოჩენილ მხედართმთავარს და საზოგადო მოღვაწეს, საბჭოთა კავშირის გმირს, გვარდიის გადამდგარ გენერალ-ლეიტენანტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, საქართველოს სსრ საზოგადოება დოსააფის თავმჯდომარეს ვლადიმერ ჯანჯღავას და საბჭოთა შეიარაღებული ძალების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით ესაუბრა მას.

**— საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი დიდი ოქტომბრის სახელოვანი პირმშოა, — თქვა პატივცემულმა ვლადიმერ ჯანჯღავამ, — რევოლუციის ქარცეცხლში შობილმა, კომუნისტური პარტიისა და ლენინის მიერ გამოზრდილმა საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა 1918 წლიდან დღემდე გმირული ბრძოლების სახელოვანი გზა განვლო.**

ახლად შექმნილი წითელი არმია პირველი დღეებიდანვე საიმედოდ იცავდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარს, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

1918 წლის 23 თებერვალს ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა ფსკოვის მისადგომებთან გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ოქტომბრის მონაპოვარის ხელსაყოფად დაძრულ გერმანელ ინტერვენტებს. სწორედ ეს დღე — 23 თებერვალი გადაიქცა მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების დაბადების აღმნიშვნელ დღედ.

სამოქალაქო ომის წლებში წითელმა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა დიდების ახალი შარავანდედით შემოსეს თავიანთი საბრძოლო დროშები.

საბრძოლო ტექნიკით ჯერ კიდევ ცუდად აღჭურვილმა საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა კომუნისტური პარტიის, პირადად დიდი ლენინის ხელმძღვანელობით მთლიანად გაანადგურეს კონტრევოლუციისა და უცხოელ ინტერვენტთა გაერთიანებული ძალები, ღირსეულად დაიცვეს ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

დიდი და დაუვიწყარია ის ღვაწლი, რომელიც წითელმა არმიამ დასდო ამიერკავკასიის აჯანყებულ მშრომელებს.

ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი ხალხებისა და რევკომების თხოვნით XI არმია აჯანყებული მშრომელების დასახმარებლად გამოეშურა.

სწორედ წითელი არმიის ძმური დახმარებით გახდა შესაძლებელი, რომ თბილისში, ბაქოსა და ერევანში საბჭოთა ხელისუფლების ნანატრი წითელი დროშები აფრიალებულიყო.

ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა საქვეყნოდ დაამტკიცა თავისი ძლიერება ხასანის, ხალხინ-გოლისა და მანერჰაიმის ხაზის გარღვევის ბრძოლებში.

საბჭოთა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა უკვდავი დიდებით შემოსეს თავიანთი სახელი დიდ სამამულო ომში. სწორედ მან — საბჭოთა ქვეყნის სახელოვანმა შეიარაღებულმა ძალებმა გადაუტეხა ხერხემალი ფაშიზმის ურჩხულს, დაიცვა ოქტომბრის დიადი მონაპოვარი, გაანთავისუფლა ევროპის დამონებული ქვეყნები, იხსნა მთელი კაცობრიობის მომავალი.

ფაშისტებმა პირველი დიდი დამარცხება მოსკოვთან ბრძოლაში იგემეს. პირველად სწორედ აქ გაცამტვერდა მითი გერმანელ ფაშისტთა არმიის სიდიადისა და უძლეველობის შესახებ.

მეორე გამანადგურებელი დარტყმა მტერმა სტალინგრადთან იწვნია. 1942 წლის ნოემბერში კონტრშეტევაზე გადასულმა საბჭოთა მეომრებმა

# 60 საბჭოთა არმია

# დიდი ოქტომბრის პირმშო

რკალში მოამწყვდიეს, გაანადგურეს და ტყვედ ჩაიგდეს გერმანელ ფაშისტთა 330 000-ანი დაჯგუფება.

ვოლგაზე გამარჯვებას უდიდესი სამხედრო, პოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა; მან საფუძველი ჩაუყარა არსებითი გარდატეხის დაწყებას დიდ სამამულო ომში.

სტალინგრადის გამარჯვებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა მეომრების წარმატება კავკასიისათვის ბრძოლაში.

სამამულო ომის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა ჩვენი შეიარაღებული ძალების გმირობა ნოვოროსიისკთან. გააფთრებით ებრძოდა მტერს მე-18 არმია, რომელსაც სარდლობდა გენერალი კ. ნ. ლესელიძე, ხოლო პოლიტგანყოფილების უფროსი ლ. ი. ბრეჟნევი იყო.

1943 წლის ზაფხულში დაიწყო გრანდიოზული ბრძოლა კურსკთან.

კურსკის რკალზე საბჭოთა არმიის გამარჯვებამ საბოლოოდ ჩაშალა გერმანელი ფაშისტების უკანასკნელი ცდა, რომ ომი თავის სასარგებლოდ შეეცვალა; სამამულო ომის მსვლელობაში მოხდა ძირეული გარდატეხა, სტრატეგიული ინიციატივა მთლიანად საბჭოთა სარდლობის ხელში გადავიდა; მტერი იძულებული გახდა დაცვაზე გადასულიყო ყველა ფრონტზე.

კურსკის რკალზე ბრძოლაში მე სივაშის მე-15 მსროლელთა დივიზიას ვსარდლობდი და საკუთარი თვალით ვხედავდი იმ ლეგენდარულ გმირობას, კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სამშობლოსადმი უზომო სიყვარულს, რომელმაც ჩვენი სახელოვანი მებრძოლები რაიხსტაგამდე მიიყვანა.

ლენინგრადთან, უკრაინაში, ბელორუსიაში, მოლდავეთსა და ბალტიისპირეთში განხორციელებული ბრწყინვალე ოპერაციების შემდეგ ჩვენი სამშობლოს ტერიტორია 1944 წელს მთლიანად განთავისუფლდა ფაშისტი დამპყრობლებისაგან.

საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი ევროპის დამონებული ქვეყნების განთავისუფლებას და ბერლინისაკენ შეუნელებელ წინსვლას შეუდგა.

დიდი სამამულო ომის დამაგვირგვინებელი ეტაპი იყო ბერლინის შტურმი. ბერლინის ოპერაციაში მონაწილეობას იღებდა ჩვენი 2,5 მილიონი მეომარი, 42 000 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 6 250 ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, 7.500 საბრძოლო თვითმფრინავი.

1945 წლის 2 მაისს, ზუსტად 15 საათზე ბერლინის გარნიზონმა წინააღმდეგობის გაწევა შეწყვიტა ფაშისტური გერმანიის დედაქალაქის თავზე წითელი დროშა აფრიალდა. ბერლინის დაცემამ მნიშვნელოვნად დააჩქარა ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაცია.

საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელთა ერთსულოვანი მხარდაჭერით, კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობითა და შეუნელებელი ზრუნვით სინამდვილედ აქციეს პროგრესული კაცობრიობის ოცნება — ხერხემალი საბოლოოდ გადაუმტვრიეს ფაშიზმს.

დიდმა სამამულო ომმა ნათლად ცხადყო ჩვენი მეომრების მაღალი მორალური და საბრძოლო თვისებები, მათი შემართება, მასობრივი გმირობა, მშობლიური კომუნისტური პარტიისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულება.

დიდი სამამულო ომი ჩვენი ძალების, ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მკაცრი გამოცდა იყო. ეს გამოცდა, რომელიც ფაშისტებმა დიდი მსხვერპლის ფასად დაგვისვეს, ლენინის მიერ შექმნილმა პირველმა სოციალისტურმა სახელმწიფომ ბრწყინვალედ ჩააბარა.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის მშენებლობის ფერხულშია ჩაბმული, როცა საბჭოთა ადამიანები თავდადებით იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მიზანდასახულობათა წარმატებით შესასრულებლად, მშრომელებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ: მათ შემოქმედებით შრომას საიმედოდ იცავს მძლავრი საბჭოთა შეიარაღებული ძალები.

ჩვენი არმია და ფლოტი დღეს საუკეთესო ხარისხის თანამედროვე მძლავრი ტექნიკით არიან აღჭურვილნი. მათ მწყობრში დგანან სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარები, წყალქვეშა რაკეტმზიდი ფლოტი. მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი შორეული რაკეტმზიდი ავიაციის ატომური ძლიერება, პირველი კლასის იარაღითა და საბრძოლო ტექნიკით აღიჭურვნენ საბჭოთა შეიარაღებული ძალების სხვა გვარეულობათა ჯარებიც.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები დღეს მთელს მსოფლიოში მშვიდობის უძლეველი ბურჯია. იგი საიმედოდ იცავს ხალხთა თავისუფლებას, თანამშრომლობას, მეგობრობას.

ჩვენი შეიარაღებული ძალების მორალურ-პოლიტიკური აღზრდა, მისი სამხედრო-ტექნიკური სრულყოფა საბჭოთა ხალხის, კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი პირველი და უმნიშვნელოვანესი საზრუნავია.

ამ პატრიოტულ საქმეში თავისი გარკვეული წვლილი შეაქვს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობ ნებაყოფლობით საზოგადოებას, რომლის ძირითადი ამოცანაა მოამზადოს ახალგაზრდობა საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახურისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის ეს თავდაცვითი საზოგადოება ყველაფერს აკეთებს, რომ მომავალი მებრძოლები ფიზიკურად ამტანნი, მკვირცხლნი, სულით ძლიერნი და გაუტეხელნი იყვნენ.

დოსააფის კლუბებში 700.000-ზე მეტი ახალგაზრდა მისდევს სამხედრო-ტექნიკური სპორტის ორმოც სახეობას. მომავალი მებრძოლები ხალისით ეუფლებიან ავტორბოლას, მოტორბოლას, საავიაციო თუ საზღვაო სპორტის მრავალგვაროვან სახეობებს.



გვარდიის გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ ჯანჯღავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმარისია ითქვას, რომ მრავალმა ახალგაზრდამ უკვე შეასრულა თანრიგოსანთა და სპორტის ოსტატთა ნორმები, ბევრი კი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გახდა.

ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მომავალი მებრძოლები აღვზარდოთ საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ხელი შევუწყოთ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის — დიდი ოქტომბრის პირმშოს შემდგომ განმტკიცებას, გაძლიერებას, სრულყოფას.

## მხოლოდ ფაქტები

- 1918 წლის 28 იანვარს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს წითელი არმიის შექმნის შესახებ.
- 1918 წლის 11 თებერვალს გამოიცა დეკრეტი მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტის ორგანიზაციის შესახებ.
- სამოქალაქო ომის ნამსახურეობის ნუსხაში შეტანილია 14.998 მებრძოლი, რომლებიც წითელი დროშის ორდენებით დაჯილდოვდნენ.

  მათ შორის 469 ჩვენი თანამემამულეა.
- გერმანელმა ფაშისტებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაძრეს 190 დივიზია.

  მტერს ჰყავდა 5,5 მილიონი ჯარისკაცი და ოფიცერი, შეიარაღებული იყო 47 ათასზე მეტი ქვემეხითა და ნაღმსატყორცნით, 4ათასზე მეტი ტანკით, 5 ათასამდე საბრძოლო თვითმფრინავით, 200-მდე საბრძოლო ხომალდით...
- საბჭოთა კავშირის მატერიალურმა ზარალმა დიდ სამამულო ომში შეადგინა 2 569 მილიარდი მანეთი (ომისწინა ფასებით).

  ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა ნაციონალური სიმდიდრის 30 პროცენტი.
- დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა 100 ერისა და ეროვნების წარმომადგენელს.

  მათ შორის იყვნენ 7.998 რუსი, 2.021 უკრაინელი, 299 ბელორუსი, 161 თათარი, 109 ქართველი, 107 ებრაელი, 96 ყაზახი, 89 სომეხი, 67 უზბეკი, 63 მორდველი, 45 ჩუვაში, 43 აზერბაიჯანელი.
- დიდ სამამულო ომში საბჭოთა მეომრებს გადაეცათ 13 მილიონამდე ჯილდო; მათ შორის 5,3 მილიონი ორდენი, 7,5 მილიონი მედალი.
- დიდ სამამულო ომში ჩვენი რესპუბლიკიდან 240.000-ზე მეტი მებრძოლი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით.
- საქართველოდან ფრონტზე იბრძოდა 52 ათასი კომუნისტი, მათ შორის იყვნენ 46 გენერალი და ადმირალი.

# სამხედრო-საზღვაო ფლოტი

ჩვენი ქვეყნის ადამიანები



ზამთარი თერჯოლაში.

შარშან მწყობრში ჩადგა თერჯოლის № 2 საშუალო სკოლის შენობა — კეთილმოწყობილი სპორტდარბაზითა და აუზით; საექსპლოატაციოდ ჩაბარდა საზოგადოება „დოსააფის" სპორტულ-ტექნიკური კლუბის კომპლექსი, რომელსაც აქვს საკავშირო სტანდარტის დახურული ტირის დარბაზი, თერჯოლის ცენტრში რეკონსტრუქცია გაუკეთდა კინოთეატრის შენობას.

სოფელ ჩხარში შენდება ოთხასადგილიანი კულტსახლის შენობა. კულტსახლის შენობები იგება აგრეთვე რაიონულ ცენტრში და ქვედა სიმონეთში. ახლახან თერჯოლაში დამთავრდა ქორწინების სახლის „ვაზის ყვავილობის" მშენებლობა, ზემო ალისუბანსა და თავასში დაწყებულია რვაწლიანი სკოლების შენობების აგება, კურორტ სიმონეთში თერმული წყლების ბაზაზე მიმდინარეობს სანატორიუმის მშენებლობა...

კიდევ ბევრი რამ კეთდება რაიონში მშრომელთა და მათი შვილების კეთილდღეობისათვის; რაიონის ხელმძღვანელობის ინიციატივით ხშირად ეწყობა ექსკურსიები, კოლექტიური სვლები, შეხვედრები, ტურისტული მოგზაურობები და სხვა ღონისძიებანი.

დიდი ხანი არ არის, რაც თერჯოლიდან დავბრუნდი. იქ, რაიონის ცენტრსა და სოფლებში, ხშირად ვხვდებოდი ადამიანებს, რომელთა უშუალო მონაწილეობით რაიონმა დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და წელს უფრო მაღალი მიჯნების ასაღებად იბრძვის. ძნელია ერთ წერილში მოათავსო ნანახი, გადმოსცე ის, რაც განიცადე ამ გამრჯე ადამიანებთან შეხვედრით. მე მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე მოგითხრობთ.

— მივცეთ სამშობლოს 23.000 ტონა ყურძენი! ასეთი იყო თერჯოლელ მევენახეთა საიუბილეო წლის გადაწყვეტილება.

ამ გადაწყვეტილების რეალობად გადაქცევა დიდ და დაძაბულ შრომას მოითხოვდა: გეგმა 17.500 ტონის წარმოებას ითვალისწინებდა, თერჯოლელებს კი 5.500 ტონით მეტი მაღალხარისხოვანი ყურძენი უნდა შეეტანათ სახელმწიფო მარანში.

ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც გაორკეცებული ენერგიით შეეჭიდა რაიონის მიერ ნაკისრი ვალდებულების პირნათლად შესრულებას, ალისუბნელი მევენახე დიმიტრი ზარნაძე გახლდათ. დიმიტრი უკვე 25 წელია, რაც მევენახედ მუშაობს ალისუბნის კოლმეურნეობაში. ბაბუამისიც მევენახე იყო, მამამისიც, ალბათ ამიტომ უყვარს ასე დალოცვილი ვაზი დიმიტრის.

ერთთავად ზვარში ტრიალებს — ნიადაგს ბარავს, თოხნის, ასუფთავებს სადრენაჟო არხებს, შეაქვს მინერალური სასუქები, სხლავს ვაზს, წინდავს, აკრავს, ნამხრევებს აცლის, წამლობას უტარებს...

საიუბილეო წელს, აკი ვთქვით, გაორკეცებული ენერგიით იშრომა დიმიტრიმ. ბუნების ჭირვეულობას სძლია და გაპიროვნებული ნაკვეთიდან ჰექტარზე გაანგარიშებით, 10,5 ტონა ყურძენი მოიწია.

# თერჯოლელები

ჰენრი კობიძე

თარხან არჩვაძის ფოტო

საიუბილეო წელს თორჯოლის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება-დამზადების ვალდებულებანი ყველა დარგში. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე საგულისხმო ციფრს. 1972 წელს თერჯოლელებმა 2.612 ტონა ბოსტნეული მოიყვანეს, 1977 წელს — 7.500 ტონა; 1972 წელს აწარმოეს 2.909 ტონა მარცვლეული, 1977 წელს — 5.739 ტონა; 1972 წელს მიიღეს 2.106 ტონა რძე, 1977 წელს კი — 2.600 ტონა... გასულ ხუთწლედთან შედარებით რაიონში მკვეთრად ამაღლდა ჩაის, ხორცის, აბრეშუმის პარკის, ხილის თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება-დამზადების მაჩვენებლები. მოდით, ერთი მაგალითი კიდევ მოვიყვანოთ. 1972 წელს თერჯოლის რაიონმა 38.000 ცალი კვერცხი აწარმოა, 1977 წელს კი — 2.800.000 ცალი. მართლაც რომ მრავლისმეტყველი ფაქტია!

რა მოხდა? ასე მოულოდნელად რამ შეცვალა მთელი რაიონის მაჯისცემა, როგორ მიაღწიეს ასეთ სასახელო მაჩვენებლებს?

პასუხი ასეთია — თერჯოლის რაიონმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა გაბედულად აუბა მხარი იმ მნიშვნელოვან ძვრებს, ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლას და სიახლის დანერგვას, რომელმაც ამ ბოლო წლებში ერთიანად მოიცვა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრება-საქმიანობის ყველა სფერო.

რაიონის ახალმა ხელმძღვანელობამ მჭიდროდ შემოიკრიბა ირგვლივ მცოდნე, გამოცდილი, საქმის მოსიყვარულე, გაბედული და მებრძოლი ადამიანები. მთელი აქტივის თავდადებულმა შრომამ, ძიებამ, ახალი რეზერვების ამოქმედებამ, რაიონის მშრომელთა დარაზმვამ, თავისი შედეგი გამოიღო: თერჯოლის რაიონი რესპუბლიკის მოწინავე რაიონად გადაიქცა.

უკანასკნელ წლებში რაიონის ცენტრმა და სოფლებმაც მნიშვნელოვნად იცვალეს სახე. ბევრი ახალი, თანამედროვე სტილით აგებული შენობა შეემატა თერჯოლას. გასული წლის აგვისტოში რაიონის ცენტრში ე. წ. გამყრელიძის გორაზე გაიხსნა სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პიონერთა ქალაქი „საპოვნელა", რომელიც მოზარდებისათვის არის გათვალისწინებული. შენობათა კომპლექსი ზაფხულობით ბავშვებს მოემსახურება, წლის დანარჩენ დროს კი მშრომელთა დასასვენებელ სახლად გამოიყენებენ.

ერთადერთი როდი იყო! მთელი სოფლის მევენახეებმა აუბეს მხარი; თავდადებით ეჭიდებოდნენ საქმეს ნიკოლოზ ბოჭორიშვილი, გიორგი დიაკონიძე, აკაკი მუჯირი, ლამარა ჯიხვაშვილი...

სწორედ მათი თავდადებული შრომის შედეგი იყო, რომ კოლმეურნეობამ 81 ჰექტარი სრულმოსავლიანი ზვრებიდან გეგმით გათვალისწინებული 280 ტონის ნაცვლად 326 ტონა ყურძნის მოსავალი მოიწია.

ნათქვამია, ზღვა წვეთებისაგან შედგებაო. წვეთ-წვეთად ნამატი თავდადებული შრომა ერთ დიდ ბარაქად გადაიქცა და მთელმა რაიონმა პირნათლად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. თერჯოლელებმა ხუთწლედის მეორე წელს — დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელს 23.313 ტონა ყურძენი მისცეს დედასამშობლოს.

ახალი წელი, მეათე ხუთწლედის მესამე წელი, ახალი შრომითი მიჯნების დასაპყრობად უხმობს დიმიტრი ზარნაძეს, რაიონის ყველა მოწინავე მევენახეს.

— თავს არ შევირცხვენთ! — მეუბნება დიმიტრი, — ისევ ერთ მტკიცე მუშტად შევიკვრებით და ახალი მიღწევებით გავახარებთ სამშობლოს!

მწამს, თერჯოლელთა სიტყვა და საქმე კვლავაც ერთი იქნება.

თერჯოლის რაიონში უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მარცვლეულის წარმოებას.

მაგალითად, ალისუბნის კოლმეურნეობაში მთელი წლების მანძილზე ერთობ დაბალი იყო სიმინდისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დონე. რაიონის ხელმძღვანელობამ კომპლექსურად შეისწავლა აქაური პირობები, არსებული შესაძლებლობანი, რეზერვები... გამოირკვა, რომ ალისუბნის კოლმეურნეობას ყოველგვარი პირობა გააჩნია განუხრელი წინსვლისათვის. გადახალისდა გამგეობის შემადგენლობა, კოლმეურნეებმა თავმჯდომარედ აირჩიეს გამოცდილი მუშაკი მიხეილ გიორგაძე. მატერიალურმა წახალისებამ, რესპუბლიკაში შექმნილმა სასურველმა კლიმატმა მეტი მოწადინეობა შემატა მშრომელებს.

შარშან კოლმეურნეებმა 200 ჰექტარის ნაცვლად 230 ჰექტარზე დათესეს სიმინდი, ძირითადად აჯამეთის თეთრი; გეგმით გათვალისწინებული 1,6 ტონის ნაცვლად ჰექტარზე საშუალოდ 2,5 ტონა მარცვალი მიიღეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმ კოლმეურნეებისათვის, რომლებმაც სიმინდის ნაკვეთები გაიპიროვნეს, ასეთი წახალისება დაწესდა: გეგმის შესრულების შემთხვევაში, მწარმოებელს უნდა მიეღო მარცვლეულის 20 პროცენტი, ხოლო გეგმის ზევით წარმოებული პროდუქტიდან — 60 პროცენტი.

ასეთმა სტიმულირებამ ხელი შეუწყო მარცვლეულის მოსავლიანობის სწრაფ ზრდას. ბევრმა კოლმეურნემ მარტო პრემია-დანამატის სახით 2-3 ტონა სიმინდი მიიღო.

ისე მოზღვავდა კოლმეურნეობაში მარცვლეულის მოსავალი, რომ ალისუბნელებმა დამატებით სასწრაფოდ ააგეს სიმინდის შესანახი ახალი ნალიები. ვერც ამან უშველა საქმეს. გამგეობა იძულებული გახდა კოლმეურნეებისთვის კალოებიდანვე გაენაწილებინათ გამომუშავებული სიმინდი.

ანალოგიური მაგალითების მოყვანა რაიონის სხვა კოლმეურნეობებიდანაც შეიძლება.

საქმემან შენმა გამოგაჩინოსო, თერჯოლელებმა სწორედ საქმით დაამტკიცეს თავიანთი მუყაითობა; მათ საიუბილეო წელს თითქმის 200 პროცენტით შეასრულეს მარცვლეულის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმა.

1976 წელს თერჯოლის რაიონულმა გაზეთმა „წინსვლამ“ აბრეშუმის პარკის უხვი მიღებისათვის დააწესა ნუცა ჩუბინიძის სახელობის პრიზი.

იმ წელს ეს პრიზი რაიონის ორ ყველაზე საუკეთესო მეაბრეშუმეს—კვახჭირელ დოდო კაკაურიძეს და სიქთარველ გუგული აბულაძეს მიენიჭათ.

ნუცა ჩუბინიძე 15 წლის იყო, როცა დამოუკიდებლად დაეუფლა მეაბრეშუმეობის უაღრესად რთულ პროფესიას.

— დედაჩემი რაიონში ცნობილი მეაბრეშუმე იყო, — გვიხსნის ნუცა, — მის გვერდით დავოსტატდი, მაშინ სოფელ ნახშირღელეში ვცხოვრობდი, მერე ქვედასიმონეთ'ში გამოვთხოვდი და დღემდე ვემსახურები ჩემს საქმეს.

48 წელია, რაც ნუცა ჩუბინიძე მეაბრეშუმეა და აბა როგორ მოეშვება თავის საყვარელ საქმეს?!

ბრიგადაში, რომელსაც ნუცა ხელმძღვანელობს, 80 მეაბრეშუმეა. 4 ღუმელი აქვთ. ნუცას და უბნის აგრონომს ვერა ლომიძეს თვითონვე გამოჰყავთ მურა და არა მარტო თავიანთი კოლმეურნეობის მეაბრეშუმეებს, არამედ ჭოგნარელ, კვახჭირელ, ბარდუბნელ მეაბრეშუმეებსაც აწვდიან მას.

ნუცა 0,5 ჰექტარზე გაშენებულ თუთის პლანტაციასაც უვლის.

კომუნისტური პარტიის წევრი, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი ნუცა ჩუბინიძე მევენახეებსაც ახმარს ხელს და მესიმინდეებსაც. შარშან მან გაპიროვნებული ფართობიდან 0,5 ტონის ნაცვლად 2,2 ტონა ყურძენი მოიწია, ხოლო გეგმით გათვალისწინებული 0,5 ტონა სიმინდის ნაცვლად 1,2 ტონა მარცვლეული შემატა კოლმეურნეობას. მთავარი მაინც ის არის, რომ იგი ყოველწლიურად აბრეშუმის პარკის ხარეკორდო მოსავალს იღებს.

არც მის მოწაფეებს, ამჟამად უკვე ცნობილ მეაბრეშუმეებს: ჟუჟუნა კეზევაძეს, ნათელა და ჯანიკო ბოგვერაძეებს, შურა და მაყვალა ლიკლიკაძეებს და სხვებს შეურცხვენიათ თავი, ეს კია, აბრეშუმის ჭიის საკვების ნაკლებობას განიცდიან. რა დასამალია, თერჯოლელი მეაბრეშუმეები გაზაფხულის პერიოდში საბარგო მანქანებით მიემგზავრებიან გარდაბანში, რუსთავში, სამტრედიაში, რაჭის, აჯამეთის ტყეებში და იქიდან ეზიდებიან თუთის ფოთლებს.

აბრეშუმის ჭიის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად ამჟამად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს რაიონში. პარტიის რაიონული კომიტეტი რადიკალურ ზომებს იღებს სანერგეების შესაქმნელად, რომლებშიც გამოჰყავთ სხვადასხვა დაავადების გამძლე თუთის ხის ნერგები.

ქვედასიმონელებს 11 ჰექტარზე აქვთ გაშენებული თუთის პლანტაცია, ყოველწლიურად მას რამდენიმე ჰექტარ ახალ ნარგავებს უმატებენ.

თერჯოლა ტრადიციულად მეაბრეშუმეობის ზონაა და ამჟამად ყველაფერი კეთდება, რომ ეს დარგი კვლავაც სამაგალითო გახადონ.

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲘᲡ რაიონში 1976 წლის აგვისტოში მწყობრში ჩადგა საკონსერვო ქარხანა, რომელმაც პირველსავე წელს დაგეგმილი 2 მილიონის ნაცვლად 3 მილიონი პირობითი ქილა გამოუშვა. ამჟამად მიმდინარეობს ქარხნის შემდგომი გაფართოება. მალე ქარხანა შეძლებს დღე-ღამეში გადაამუშაოს 300 ტონა პამიდორი.

რაიონში ბოსტნეულის უხვი მოსავალი მოჰყავთ. ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა გადაჭარბებით ასრულებს ბოსტნეულის სხვადასხვა სახეობის წარმოების გეგმებს.

ბოსტნეულის წარმოება ერთია, მისი რეალიზაცია, მომხმარებლამდე დროულად და უდანაკარგოდ მიტანა კი მეორე.

— მებოსტნეს ისე არაფერი გაუტეხს გულს, როგორც მოწეული მოსავლის გაფუჭება და გაპარტახება, — გვითხრა რაიონში ცნობილმა მებოსტნემ



ბარდუბნის მეცხოველეობის ფერმაში.



პიონერთა ქალაქი „საპოვნელა“.

ჩხარის კულტურის სახლის მშენებლობა.



შოთა სახელაშვილმა, — ასეთი ფაქტები კი წინათ ხშირად გვხვდებოდა ხოლმე, ჩემო ბიძია.

რა თქმა უნდა, მართალს ამბობს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მებოსტნე! შრომით მოწეულ ბოსტნეულს მოფრთხილება და დროული პატრონობა უნდა.

სწორედ ამ თვალსაზრისით გადაწყვიტა რაიონის ხელმძღვანელობამ, თერჯოლაში აგებულიყო საკონსერვო ქარხანა; ეს საწარმოო სრული დატვირთვით ამუშავების შემდეგ თითქმის მთლიანად უზრუნველყოფს რაიონში დამზადებული ბოსტნეულის მიღებასა და გადამუშავებას.

ეს მაგალითი ერთადერთი როდია. ყველგან და ყველაფერში იგრძნობა ის მზრუნველობა, საქმისადმი ის გულისხმიერება და გააზრებული დამოკიდებულება, რასაც რაიონის ხელმძღვანელობა, მთელი აქტივი, რიგითი მშრომელები იჩენენ პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული მიზნების განსახორციელებლად.

ბევრი რამ ვნახეთ თერჯოლაში სასიხარულო და საამაყო, გავეცანით შრომისმოყვარე ხალხს, დავათვალიერეთ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საწარმოები; დავათვალიერეთ და ნათლად ვიგრძენით ის სიახლე, უკეთესისაკენ ლტოლვა, ის შემართება და მონდომება, რითაც ახალი ჰორიზონტების დასაძლევად არიან აღვსილნი რაიონის მშრომელები.



ალისუბნელი მუშა ლ. ბოჭორიშვილი.



ალისუბნელი მუშა დ. ზარნაძე.

ნაზი კილასონია

## ჭექდა ერთი არია

მახსოვს, სკოლის მერხიდან
ვჭექდით, ვქუხდით მეხივით,
ვისწორებდით ხერხემალს,
ვშრიალებდით ხეხილით.

ყველა ბავშვი, ყველა წიგნი
მთელი საქართველოდან
იდგა დიდი მგოსნის ირგვლივ
და გულმაგრად მღეროდა:

„ქვეყნად ბევრი არმიაა,
სულ სხვადასხვა ფერია,
ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ,
ზოგან ალისფერია.

ჩვენი ჯარი ძლიერია,
მაგრამ სხვა სიძლიერით,
შეგნებული დისციპლინით,
შეგნებული იერით“...

რიტმი, როგორც ჯარისკაცი,
თან მიგვდევდა მარშებით,
იმავ მარშით განატაცნი
ვიზრდებოდით ბავშვები.

და იმ დღიდან ამიერად,
მიყვარს, მახსოვს ძალიან:
ქვეყნად ბევრი არმიაა,
ჩემი უფრო მძლავრია.

და მხსნის ყოველ სადარდებელს
მისი წმინდა ვალია,
ქვეყნად ბევრი სარდალია,
ჩემი უფრო რვალია!..

და თქმა იგი როდის აქეთ
ისტორიად ვინებოთ:
ყველაფერი ფრონტისათვის,
ფრონტისაკენ შვილებო!

მახსოვს, ხსოვნით არმცირედით,
მზე იმ კაცთა ბუნების,
მახსოვს, ცრემლი გაცილების,
მახსოვს, არდაბრუნების.

დარდით რისად მეთანგები,
რად, რად დარდობ, მუზავ, რად?!
მათ ბორცვებზე ერთად ვდებდით
ყვავილსა და მუზარადს...

და ორკესტრად, ქამანჩებად
ჭექდა ერთი არია:
გადარჩენა! გამარჯვება,
მშობლიურო არმია!

დღესაც მიქქუხს ფარაჯებად
ქვეყნის დიდი არია,
მშვიდობა და გამარჯვება,
საბჭოეთის არმიავ!



# უძველესი ქალაქის სიჭაბუკე





ვინც ერთხელ მაინც გადახედავს ნიკო ნიკოლაძისეული ციხე-კოშკის აივნიდან მზისა და ზღვის ლაჟვარდში გახვეულ ფოთს, უთუოდ იტყვის:

— მშვენიერი ქალაქია!

დიახ, კოხტა და მიმზიდველი ქალაქი გახლავთ დღეს ფოთი. თვალს იტაცებს მისი გრძელი, ლარივით გაჭიმული ქუჩები, ბაღები და სკვერები, მრავალსართულიანი ლამაზი სახლები. მთავარი მაინც ადამიანები არიან: გულმართალი, შრომისმოყვარე, ქვეყნისა და საქმისათვის თავდადებული მშრომელი ადამიანები!

ფოთის მაჯისცემას, მის ინდუსტრიულ რიტმს, უპირველეს ყოვლისა, ნავსადგური განსაზღვრავს.

დიდი და განუზომელია ღვაწლი, რომელიც ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ შეიტანა ამ ნავსადგურის აგებაში. ფოთის ქალაქისთავის ნიკო ნიკოლაძის დამსახურებაა აგრეთვე ნავსადგურთან მისადგომი გზებისა და ქალაქის ცენტრის მოხერხებული დაგეგმარება.

აი, ამიტომ არის, რომ ფოთელები ასეთი პატივისცემით ინახავენ ამაგდარი ადამიანის ხსოვნას. ნიკოლაძისეულ კოშკში ახლა მისივე მემორიალური მუზეუმია მოთავსებული, რიონის მარჯვენა სანაპიროს ქუჩა ნიკოლაძის სახელს ატარებს, ნავსადგურის ცენტრალურ მოედანზე კი შესანიშავი არქიტექტურული ანსამბლით დამშვენებული ნიკო ნიკოლაძის ძეგლი აღიმართა.

ფოთის საზღვაო ნავსადგური დღეს ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი სავაჭრო კვანძია. იგი მაღალმექანიზებული სამამულო ტექნიკით აღჭურვილი სატრანზიტო — მწარმოებელი კარიბჭეა, სადაც კონვეირული სისტემით ხდება საბჭოთა და უცხოური გემების სადღეღამისო ჩატვირთვა-გადმოტვირთვა.

პორტალური ამწეების, ავტოდამტვირთავების, ამწევი და გადასაადგილებელი მექანიზმების მძლავრი პარკი მაქსიმალურად არის გამოყენებული ხომალდების გადმოტვირთვა-დატვირთვისათვის.

პორტში ყოველწლიურად იტვირთება 3.000.000 ტონა ტვირთი. მათი დატვირთვა-გადმოტვირთვა პირდაპირი ვარიანტით ხდება: გემი — ვაგონი — გემი, ხოლო ილიჩოვკელთა მაგალითისამებრ, ამ ოპერაციებს რიტმულად წარმართავენ გამსხვილებული კომპლექსური ბრიგადები.

აქ ნახავთ საქმეში გართულ მუშათა დინასტიის მთელი ოჯახების წარმომადგენლებს: გაბუნიებს, გაწერელიებს, თავბერიძეებს, თოფურიძეებს, აბურჯანიძეებს...

აი, ეს შუახანს მიტანებული კაცი გივი გუგუშვილი გახლავთ. იგი ოც წელზე მეტია, რაც ნაცადი შტურმანივით უზის პორტალური ამწის საჭეს.

ჩქაროსნულმა მეამწემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ორი ორდენისა და მედლების კავალერმა გივი გუგუშვილმა მეცხრე ხუთწლედის პირადი გეგმა სამ წელსა და სამ თვეში გაანაღდა. ეს რეკორდული შრომითი მიღწევა მან მაშინვე სიხარულით აუწყა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

გივი გუგუშვილის უდიდესი სიხარული მალე მთელმა კოლექტივმა გაიზიარა: მოსკოვიდან გივი გუგუშვილის სახელზე მოვიდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წერილი, რომელშიც მაღალი შეფასება ჰქონდა მიცემული მეამწის შრომით მიღწევას და მამობრივი სურვილი იყო გამოთქმული ახალი წარმატების მოსაპოვებლად.

ფოთის ნავსადგურის ყველა მშრომელს ახლა მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: მხარი აუბას ჩვენი დღევანდელი დღის მჩქეფარე რიტმს, ახალი შრომითი წარმატებებით ასახელოს სამშობლო.

ნავსადგურის ბაზაზე დიდ სამამულო ომამდე და ომის შემდგომ წლებში ფოთში შეიქმნა ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიცაა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი წისქვილქარხანა, ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი ქარხანა, საოკეანო თევზჭერის სამმართველო; ქალაქის დაჭაობებული ადგილების ამოშრობის შემდეგ მწყობრში ჩადგა ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელი და ელექტრომოწყობილობათა ქარხნები, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები.

ფოთში დამზადებული სამრეწველო ნაწარმი ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში და მის ფარგლებს გარეთ იგზავნება. ფართო საექსპორტო აღიარება მიეცა ფოთის მარკით დამზადებულ ელექტრომოწყობილობებს, რომლებიც მრავალ უცხოურ ქვეყანაში გააქვთ.

დიდი მოთხოვნილებაა აგრეთვე უცხოეთის ქვეყნებში ფოთურ მიწისმწოვ მანქანებზე. ეს სამელიორაციო-საირიგაციო სამუშაოებისათვის განკუთვნილი უნიკალური მანქანები ტრესტ „კოლხეთმშენის“ ბაზაზე დაარსებულ სამონტაჟო წარმოებაში შექმნეს ინჟინრებმა გ. ცხადაიამ და გ. მიხაილოვმა.

ამ მძლავრმა დანადგარმა თავიდანვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება, სწრაფად მოიპოვა საერთაშორისო აღიარება და მათ შემქმნელებს სახელმწიფო პრემია მიენიჭათ.

საქვეყნოდ გაითქვა სახელი ფოთში დამზადებულმა წყალქვეშაფრთიანმა სწრაფმავალმა „კომეტამ“. მათ ახლა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეხვდებით. ფოთურ „კომეტებზე“ დიდი მოთხოვნილებაა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, ბულგარეთში, კუბაში, იტალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საბერძნეთში...



- ფოთი, რუსთაველის პროსპექტი.
- ნიკო ნიკოლაძის კოშკი.
- ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრი.
- ნიკო ნიკოლაძის ძეგლი.
- საზღვაო ვაგზალი.
- „კომეტა“ მზად არის.
- ფოთელი დოკერები.

ანზორ გოგოლაძის ფოტო.

ფოთი მებადურთა ქალაქიცაა. შორეულ ოკეანეებში თევზის ხვავიან რეწვას აწარმოებენ ტრალერების ეკიპაჟები, მახლობელ წყლებში კი ეს საქმე მინდობილი აქვს მეთევზეთა კოლმეურნეობა „კოლხეთს“.

კარგი მუშაობის დამადასტურებლად ისიც კმარა, რომ ვთქვათ: მებადურთა კოლმეურნეობა ახლა უკვე მიმდინარე წლის მესამე კვარტლის ანგარიშში მუშაობს და თავგამოდებით იბრძვის მეათე ხუთწლედის დავალებათა დროზე ადრე შესრულებისათვის.

აი, ახლაც გაშლილი ზღვიდან სანაპიროზე ბრუნდებიან მებადურები. თანდათან ეშვება ბინდი კოლხეთის ძველთაძველ — მაგრამ უბერებელ და მარად ჭაბუკ ქალაქში.

ზღვის, პალიასტომის ტბის, რიონისა და კაპარჭინის საზღვრებში მოქცეული ფოთი ნათურებით კაშკაშდება.

ამ სიკაშკაშეში კვლავაც დიდებულად იკვეთება დიდი სამამულო ომის სახელოვან მონაწილეთა სადიდებლად ქალაქის ცენტრში აღმართული მონუმენტი — კოლხი ქალის ქანდაკებით.

ზღვისპირა დაჭაობებული ქალაქი საბჭოთა ხელისუფლების წლებში მშრომელებმა ააყვავეს და აალორძინეს, დაამშვენეს კინოთეატრების, ბიბლიოთეკების, მხარეთმცოდნეობისა და რევოლუციური წარსულის ამსახველი მუზეუმების კოხტა შენობებით, კულტურისა და განათლების კერებით, სპორტული მოედნებითა და ტყე-პარკებით, ჯანმრთელობის დაცვის კომპლექსებითა და ტურისტული ბაზებით...

ისინი მზად არიან, მეტი მონდომებით იბრძოლონ მეათე ხუთწლედის მესამე წლის წარმატებით დაგვირგვინებისათვის.

კარლო კომახიძე











ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიკო კეცხოველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილ მეცნიერს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ნიკო კეცხოველს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ჩვენმა საზოგადოებრიობამ სიყვარულით აღნიშნა ეს ღირსშესანიშნავი თარიღი. ამასთან დაკავშირებით ღვაწლმოსილი მეცნიერი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

ჟურნალი „დროშა“ სულითა და გულით ულოცავს ნიკო კეცხოველს სახელოვან იუბილეს, უმაღლეს ჯილდოს — ლენინის ორდენს და უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს ჯანმრთელობას, მრავალ შემოქმედებით გამარჯვებას ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

## მწერალი, მეცნიერი, მამულიშვილი

ნიკო კეცხოველი იმ იშვიათ პიროვნებათა რიცხვს განეკუთვნება, რომელთაც ძნელად შესათავსებელის შეთავსება ძალუძთ: იგი თავის თავში ბედნიერად აერთიანებს გამოჩენილ მეცნიერსა და შესანიშნავ მწერალს.

შემეცნების ორი ისეთი განსხვავებული დარგისადმი ერთდროული სამსახური, როგორიც მეცნიერება და ხელოვნებაა, განსაკუთრებულ თვისებებს მოითხოვს. ამ ორი ღვთაებისადმი ერთგულებას, ორი ასეთი მკაცრი და მომთხოვნი ბატონის ყმად ყოფნას, მარტო მაღალი ნიჭი ვერ უშველის, არც ფართო განათლება ეყოფა, ვერც შრომისუნარიანობა გაიყვანს ფონს. ყოველივე ამასთან ერთად აუცილებელია მტკიცე, მდგრადი, ნებისყოფიანი ხასიათი; ღონიერი, შეუვალი, რკინისებური...

ჩვენი ძვირფასი და საამაყო ნიკო კეცხოველი სწორედ ასეთ ძლიერ პიროვნებას წარმოადგენს. მისი ნებისყოფა უპირატესად იმისთვის კი არ დაიძაბა, რათა ასეთ ორად გაყოფას წინაღდგომოდა, არამედ იმისთვის, რომ ორივე ამ გზაზე რაც შეიძლება შორს წასულიყო და რაც შეიძლება მეტისთვის მიეღწია.

მიუხედავად იმისა, რომ ორ გზაზე წარმატებით სიარული ძნელზე-ძნელია და იგი მხოლოდ რჩეულთ ძალუძთ, ნიკო კეცხოველმა ორივე ამ სფეროში იმდენი გააკეთა, ალბათ, სხვა დიდად ნიჭიერ, დიდად შრომისმოყვარე კაცს მხოლოდ ერთი რომელიმე ამ გზით რომ ევლო, ერთი საქმისათვის მიეპყრო მთელი თავისი გულისყური, — ამდენს ვერ მიაღწევდა.

ნიკო კეცხოველზე როგორც მეცნიერზე, ბევრი ითქვა და დაიწერა, მე ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა მასზე როგორც მწერალზე. მწერალი კი ენიდან იწყება. თუ მწერალი ღრმად არა „ზის“ მშობლიური ენის წიაღში, არ არის დაუფლებული ენის სტიქიონს, თუ ენა დედის ხსენთან ერთად არა აქვს შეთვისებული, იგი ვერასოდეს ვერ გახდება ჭეშმარიტი მწერალი.

ნიკო კეცხოველმა საოცრად ღრმად იცის ქართული ენა. იგი, მართლაც, რომ უბრწყინვალესი მოქართულეა. იშვიათად, რომ დღეს, ვინმემ ისე სრულყოფილად, ისე ყოველმხრივად იცოდეს ცოცხალი სალაპარაკო მეტყველება, საერთო-სახალხო ენა და სალიტერატურო ენა, როგორც ნიკო კეცხოველმა.

დღეს, როცა გახშირდა გრამატიკული ძალადობა ენაზე, როცა ხალხური სალაპარაკო ენა თავისი უმდიდრესი ლექსიკით, ხატოვანი სიტყვა- თქმებით, იდიომატიკით, თავისებური სიტყვათწარმოებით მარტივდება, პრიმიტიულდება, სწორხაზოვანდება, ღარიბდება, — ნიკო კეცხოველისნაირ ადამიანებს მშობლიური ენის წინსვლა-განვითარებისათვის უდიდესი სამსახურის გაწევა შეუძლიათ: ისინი იცავენ ენას დამჭლევებისა და გაღარიბებისაგან, მისი ერთნაირად შეკრეჭისაგან, დიალექტების მოძალებისგან და მრავალი სხვა უბედურებისაგან. მათ სახალხო-სალაპარაკო ენიდან ამოაქვთ იშვიათი მარგალიტები და ამით სამწერლობო ენას ამდიდრებენ.

ნიკო კეცხოველი მტკიცედ დგას ქართული ენის სადარაჯოზე. იგი მისი სიწმინდის ერთი უპირველესი დამცველთაგანია. და ეს ხმალშემართულობა ნიკო კეცხოველის ერთ-ერთ უდიდეს დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ.

მისი პროზა ნიმუშია ნოყიერი, ძარღვიანი, ფერადოვანი, მეტყველი, ეროვნულსა და ხალხურ ძირებზე დაფუძნებული სალიტერატურო ენისა და სამაგალითოა თავისი ბუნებრიობით, ჟღერადობით, ხატოვნებით. იგი არ არის არც ზედმეტად გასალაშინებული და არც ფსევდოხალხურად გაუბრალოებული, არც დიალექტით ზედმეტად მოჭარბებული და არც იმდენად პურისტული, რომ ენის გაღარიბების მცირე ტენდენციასაც კი შეიცავდეს.

ნიკო კეცხოველი მადლმოსილი მწერალია, ჩინებული, ღრმა, შორსმჭვრეტელი, თავის ქვეყანაზე შეყვარებული, საოცრად შთაგონებული და ჭეშმარიტად პოეტური. მის მხატვრულ პროზას დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს; იგი გვაცნობს და გვაყვარებს ჩვენს ქვეყანას, მის წარსულს, მის ხალხს, მის ადათ-წესებს, სამეურნეო პრაქტიკას, ბრძოლასა და საქმიანობას. ნიკო კეცხოველის წიგნებს: „თოვლიან მთებში“, „ცხრათვალა მზის ქვეშ“, „მორბის არაგვი არაგვიანი“, „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარიან“, „მეცხრე მთაც გადავიარეთ“, „კიდევაც დაიზრდებიან“ — არასოდეს არ მოაკლდება ქართველი მკითხველის ინტერესი და ყურადღება. ისინი სამუდამოდ არიან „გაწერილი“ ქართველი ხალხისათვის საყვარელ იმ „წიგნად ფონდში“, რომელიც ჩვენს ხალხს განსაკუთრებით უყვარს და აფასებს.

მაგონდება ორმოცდაათიანი და სამოციანი წლების მიჯნა. იმ წლებში ნიკო კეცხოველი განყოფილების აკადემიკოს-მდივანი იყო; გიორგი ლეონიძე კი რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი.

მე არაერთხელ გავმხდარვარ მათი მოკლე, მაგრამ გულღია საუბრების მოწმე, უფრო გადალაპარაკებას რომ ჰგავდა. ერთმანეთთან დიდად შეხუმრებულები იყვნენ. ამასთან ორივე ჭიქივით უკანდაუხეველი, ჩინებულად მეტყველი, ქართული ზეპირსიტყვიერების საოცარი მცოდნე, კამათის მოყვარული, ხალხური იუმორის მოყვარული და გა-



## იუბილარის ფოსტიდან

ძვირფასო და ღრმად პატივცემულო ნიკოლოზ ნიკოლოზის ძევ! ნება მომეცით უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკური კომიტეტის სახელით მოგილოცოთ 80 წლისთავის იუბილე და გისურვოთ ჯანმრთელობა, შემდგომი ნაყოფიერი მუშაობა. ვიმედოვნებთ, რომ საქართველო-უნგრეთის ბოტანიკური კავშირურთიერთობა, დაფუძნებული დიდი ხნის მხურვალე მეგობრობაზე, კვლავაც განმტკიცდება.

მეგობრული სალმით უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკური კომიტეტის თავმჯდომარე,

პროფესორი სიმონ ტიბორი

* * *

ღრმად პატივცემულო ნიკოლოზ ნიკოლოზის ძევ! გულითადად გილოცავთ 80 წლის შესრულებას. ვისურვებთ დიდი ხნის სიცოცხლეს, წარმატებებს მუშაობაში. მადლობას გიძღვნით უნგრელი სტუდენტების გულითადად მიღებისათვის, მათთვის იმ შესაძლებლობის შექმნისათვის, რომ გასცნობოდნენ შესანიშნავი საქართველოს მნიშვნელოვან ბოტანიკურ რაიონებს.

ბუდაპეშტის უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრა

პროფესორი ვიდა გაბორი

* * *

ძვირფასო ნიკოლოზ ნიკოლოზის ძევ! სულითა და გულით მხურვალედ გილოცავთ შესანიშნავ იუბილეს. დიდად ვაფასებ თქვენს მეცნიერულ დამსახურებას, თქვენი ინტერესების მრავალმხრიობას, თქვენი პიროვნების როგორც მეცნიერი-მწერლის, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწის ორიგინალობას. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას მრავალ და მრავალ წელს.

მარად თქვენი, აკადემიკოსი ა. ოპარინი

* * *

პატივცემულო ნიკოლოზ ნიკოლოზის ძევ! მიიღეთ ჩემი გულითადი მილოცვა თქვენი იუბილესა და ლენინის ორდენით დაჯილდოების გამო. დიდი კმაყოფილებით ვიგონებ უმაღლესი განათლების

# 80

ქილიკების საუცხოო ოსტატები. მათ პაექრობასა და ქვეტექსტით დანაღმული შეხუმრების მოსმენას არაფერი ჯობდა.

გიორგის მჯობნი კაცი საქართველოში არ მეგულებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ნიკო ტოლს არ უდებდა. უნდა დავძინოთ, რომ გიორგი რაღაც განსაკუთრებული მორიდებით ექცეოდა ნიკოს და როგორც თავისზე უფროსს, თითქოს ინდობდა კიდეც.

ერთხელ (ეს ჩვენი ერთ-ერთი პირველი მისვლა იყო) ბატონი ნიკო კაბინეტში არ დაგვიხვდა და მისი მდივნის მიპატიჟებით ლოდინი დავუწყეთ, თან კაბინეტის კედლებზე გაკრულ მრავალრიცხოვან ფოტოსურათებს ვათვალიერებდით. ყველა ეს სურათი ნიკო კეცხოველის ხელით იყო გადაღებული. ფოტოსურათებს ჭეშმარიტი ფოტოოსტატისა და ნამდვილი მხატვრის უნარი და ალღო აჩნდა.

გიორგი ლეონიძე დიდი ინტერესით ათვალიერებდა მათ და თავის კმაყოფილებას მოკლე შეძახილებით გამოხატავდა.

„აი, ჩემი ოლე!“ — თქვა მან და გასაოცარი ოსტატობით გადაღებულ ერთ-ერთ ფოტოზე მიმითითა, რომელზედაც გამხმარი, ნამეხარი, რტომრავალი ხე იყო გადაღებული. გადამხმარი ხე ისე მკვეთრად, ისე შთამბეჭდავად, ისე პოეტურად მოჩანდა მქრქალი ცის ფონზე, რაღაც სევდასა და ტკივილს გაგრძნობინებდა, სწორედ ისე, როგორც ეს გოგლას განსაცვიფრებელი ძალის ლექსმა „ოლემ“ იცის...

— თვითეულში საქართველო მოჩანს! — თქვა ნიკოს ფოტოებზე ფიქრებში წასულმა გიორგი ლეონიძემ.

დიდი პოეტის ეს სიტყვები სამუდამოდ დამამახსოვრდა.

მე ვფიქრობ, რომ ნიკო კეცხოველის ყველა ნახელავში — მხატვრული ნაწარმოები იქნება იგი, სამეცნიერო გამოკვლევა, ტერმინოლოგიური შრომა, ფოტოსურათი თუ მისი თაოსნობით საძირკველჩაყრილი და გამაგრებულ-გახარებული რაიმე საქმე — ყველაფერში საქართველო მოჩანს! ერთიანი, მთლიანი, განუყოფელი სრულიად საქართველო, თავისი დიდებული წარსულით და კიდევ უფრო სვებედნიერი მომავლით.

**გიორგი ციციშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიყვარულით მოსილი

ბატონი ნიკო კეცხოველი ოთხმოცი წლისაა. იმ დროს, როდესაც ჩემი თაობის ხალხი თბილისის უნივერსიტეტში სწავლობდა, უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი, ბატონი ნიკო ორმოცდაათისაც არ იყო...

ჩვენ მაშინ იგი გაცილებით უფრო ხანდაზმული გვეჩვენებოდა. ახლა კი ბატონი ნიკო თავის ასაკზე ბევრად ნაკლები ხნისა გვგონია.

ბედნიერ ფეხზეა დაბადებული ბატონი ნიკო. საქართველოში ძნელად თუ მოინახება ადამიანი, მას რომ არ იცნობდეს, მისი სახელი რომ არ გაეგოს. ასეთი პოპულარობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ჩვენი რესპუბლიკის რომელ ქალაქში, რომელ კუთხეშიაც უნდა მოხვდეს იგი, მისი ნასტუდენტარი რომ არ შეხვდეს, სიყვარულითა და სიამაყით არ შეეგებონ თავიანთ აღმზრდელს.

ჯერ კიდევ იმ წლებში ნიკო კეცხოველზე უამრავი ლეგენდა დადიოდა. ჰყვებოდნენ ტყუილსა თუ მართალს, ჰყვებოდნენ, თუ როგორ გარიცხა მან ესა თუ ის სტუდენტი უნივერსიტეტიდან, როგორ აღადგინა შემდგომში და რა მამობრივი მზრუნველობა გაუწია. ყველა ლეგენდაში მთავარი ერთი იყო — ღრმა პატივისცემა და აღიარება მისი ავტორიტეტისა.

არ იყო უნივერსიტეტის ცხოვრებაში არც ერთი დიდი თუ მცირე მნიშვნელობის მოვლენა, რომელიც ბატონი ნიკოს ყურადღების მიღმა დარჩენილიყოს. იგი ესწრებოდა ლიტერატურული წრის მეცადინეობებს, სათავეში ედგა სტუდენტ მთამსვლელთა ლაშქრობებს, გულშემატკივრობდა უნივერსიტეტის კალათბურთელებსა და მოკრივეებს, თვალყურს ადევნებდა ფაკულტეტების ფეხბურთელთა გუნდების ტურნირს. მისი თვალი ყველაფერს ამჩნევდა, მის სმენას არაფერი გამოეპარებოდა.

ბატონი ნიკო კეცხოველი ახლა. ოთხმოცი წლისა ბრძანდება, შესანიშნავი მეცნიერი და პედაგოგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, დიდებული მამულიშვილი, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი ჩვენი დიდი წინაპრებისა, საყოველთაო სიყვარულითა და დაფასებით პატივნაგები.

ამ პატარა წერილით მინდა დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა ვუსურვო ბატონ ნიკოს, რომლის კოლორიტული ფიგურის დანახვაც დიდ სიხარულს იწვევს ყოველ ჩვენგანში, მინდა ვუსურვო დიდხანს შერჩენოდეს მჩქეფარე ენერგია და ჭაბუკური შემართება, გამოცდილებით დაბრძენებული გონება და შრომისმოყვარეობა მისი და ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

და ერთხელ კიდევ დავუდასტურო დიდი სიყვარული, პატივისცემა და ერთგულება ყოფილ რექტორს ყოფილი სტუდენტისაგან.

**ნოდარ გურეშიძე**

## იუბილარის ფოსტიდან

სისტემაში ჩვენი ერთობლივი მუშაობის წლებს. გილოცავთ ახალ წელს. გისურვებთ დიდ ბედნიერებას, ჯანმრთელობას მრავალ და მრავალ წელს.

სსრ კავშირის განათლების მინისტრი
მ. პროკოფიევი

* * *

ღრმად პატივცემულო და ძვირფასო ნიკოლოზ ნიკოლოზის ძევ! მხურვალედ გილოცავთ თქვენს სახელოვან იუბილეს! გულითა და სულით მოგესალმებით თქვენ — კავკასიონის ბოტანიკურ გამოკვლევათა ხელმძღვანელსა და სულისჩამდგმელს, სსრ კავშირის მთამაღალის შემსწავლელი კომისიის უაღრესად აქტიურ წევრს, საქართველოში მოწყობილ საკავშირო და საერთაშორისო ექსკურსიების ორგანიზატორს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ვიმედოვნებთ, რომ მონაწილეობას მიიღებთ საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის მთამაღალის ფლორისა და მცენარეულობის შემსწავლელი VIII სრულიად საკავშირო სესიის მუშაობაში.

სრულიად საკავშირო ბოტანიკური საზოგადოების მთამაღალის კვლევის კომისია: სრულიად საკავშირო ბოტანიკური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი ა. ტოლმაჩოვი, ლ. ივანინა, ვ. ზალენსკი, ვ. გრიგოვი, პ. გორჩაკოვსკი, ნ. რუბცოვი, ი. საფაროვი, გ. ლადიგინა, სემიხარტოვა, ა. სტეშენკო და სხვები.

* * *

ძვირფასო ნიკოლოზ ნიკოლოზის ძევ! ციმბირის ბოტანიკოსები სულითა და გულით გილოცავენ თქვენ, გამოჩენილ მეცნიერს, პედაგოგსა და მწერალს, სახელოვან იუბილეს. თქვენი დამსახურება სამამულო მეცნიერების წინაშე კარგადაა ცნობილი ჩვენს თოვლიან მხარეში. გისურვებთ ჯანმრთელობას, შემდგომ ნაყოფიერ მოღვაწეობას, პირად ბედნიერებას.

ციმბირის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის თანამშრომლები.



ფოტო
მაქსიმე გორკისა

მარჯვნიდან: ი. ფრანგულიანი, ა. მ. გორკი, მწერლის შვილიშვილი მართა, ი. მჭედლიძე, ი. კონიაშვილი, მწერლის შვილიშვილი დარია და რძალი ნადეჟდა.

# სორენტო, 1930 წელი...

დიდი მწერალი და ჰუმანისტი მაქსიმ გორკი საქართველოს თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა და ამას მთელი სიცოცხლის მანძილზე საქმითაც ადასტურებდა. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს დიდი მწერლის ბიოგრაფიისა და მისი მრავალფეროვანი მოღვაწეობის განხილვა. ჩვენ მხოლოდ მწერლის ცხოვრების ერთ ეპიზოდზე გვინდა გიამბოთ, რომლის შესახებ ამ ათიოდე წლის წინ გამოქვეყნდა პრესაში.

ჟურნალისტმა მერი გაბრიაძემ წერილში „ერთი ფოტოსურათის ისტორია“ (გაზეთი „თბილისი“) გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილნი არიან მ. გორკი, მისი შვილიშვილი მართა და ძველი ბოლშევიკი, საბჭოთა საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი ი. ფრანგულიანი.

წერილში ლაპარაკი იყო ექიმთა ჯგუფზე, რომელიც სორენტოში დასასვენებლად მყოფ მ. გორკის ესტუმრა, მაგრამ მათი ვინაობა გაუგებარი დარჩა, რადგან გამოქვეყნებულ მასალაში ისინი სრულად არ იყვნენ მოხსენებულნი. ფოტოსურათს აკლდა ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი აღმოაჩინა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა მ. პირადოვმა ექიმ ი. ფრანგულიანის საოჯახო არქივში.

ჩვენ დავინტერესდით ვინ ახლდა ი. ფრანგულიანს იტალიაში. ექიმთა ჯგუფის დადგენაში დაგვეხმარა ი. ფრანგულიანის წიგნი „ძველი ბოლშევიკის მოგონებანი“. მ. გორკისთან ერთად ფოტოზე აღბეჭდილი არიან: საქართველოში კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ივანე გიორგის ძე კონიაშვილი (1889-1938), ცნობილი ექიმი მალარიოლოგი, ბათუმის ტროპიკული სადგურის მთავარი ექიმი ივანე ზაქარიას ძე მჭედლიძე (1889-1944) და თვით ივანე სიმონის ძე ფრანგულიანი (1887-1970).

1928 წლიდან საერთაშორისო ორგანიზაციის, ერთა ლიგის სანიტარულ-ჰიგიენური სექციიდან სსრკ ჯანსახკომი იღებდა საგზურს სანჰიგიენისტთა და მალარიოლოგთა კურსებზე, რომელიც ეწყობოდა ევროპის ქვეყნების სხვადასხვა ქალაქში. 1930 წელს საქართველოს სსრ ჯანსახკომმა საზღვარგარეთ მიავლინა ზემოდასახელებული სპეციალისტები. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები იყვნენ გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიის, საფრანგეთისა და იტალიის წამყვან კლინიკებში; იქ გაეცნენ მოწინავე მეცნიერ-მედიკოსთა გამოცდილებას, რომელსაც შემდგომში ნერგავდნენ ჩვენი რესპუბლიკის ახლად შექმნილ სამედიცინო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში.

იტალიაში ყოფნისას ქართველ მედიკოსთა ჯგუფს გადაუწყვეტია ხლებოდა დიდ მწერალს სორენტოში.

მ. გორკის დიდად გახარებია ქართველთა სტუმრობა; ქართველი მედიკოსები მაქსიმ გორკის თავისი აგარაკის მახლობლად მდებარე პანსიონატ „მინერვაში“ დაუბინავებია. მ. გორკი ყოველდღე ნახულობდა მათ, ბევრს ესაუბრებოდა; საუბრის თემა ჩვეულებრივ საქართველო ყოფილა. ისინი ერთად ათვალიერებდნენ ღირსშესანიშნავ ადგილებს, სეირნობდნენ მანქანით, რომელსაც მწერლის ვაჟი მაქსიმე მართავდა.

„მიყვარს საქართველო, — უთქვამს მ. გორკის, — ქართველი ხალხი, მიყვარს თქვენი ხელოვნება; ქართული სიმღერები და ცეკვები საქართველოში გატარებულ ჭაბუკობის წლებს მაგონებს.“

მაქსიმ გორკის სტუმრებისათვის უთხოვია, რაიმე იმღერეთო. ი. მჭედლიძეს სიამოვნებით შეუსრულებია მწერლის თხოვნა (იგი ცნობილი იყო როგორც ქართული სიმღერების კარგი შემსრულებელი).

სამშობლოში დაბრუნებულმა ექიმებმა მწერალს სორენტოში გაუგზავნეს რამდენიმე ფირფიტა, რომლებზეც ქართული სიმღერები იყო ჩაწერილი.

იტალიის ქალაქების დათვალიერებისას საქართველოდან წარგზავნილები იქაური არქიტექტურით აღტაცებულან. რამდენიმე ნახაზი მათ სამშობლოში ჩამოუტანიათ. ამ ნახაზების მიხედვით ბათუმში აშენდა ტროპიკული ინსტიტუტი, რომელშიც ამჟამად ქალაქის პირველი საავადმყოფოა მოთავსებული, აშენდა აგრეთვე, პიონერთა პარკის შესასვლელისა და ზღვისპირა ბულვარის კოლონადები, რომლებიც ბათუმის ემბლემად გადაიქცა.

„გორკისთან გატარებული ოთხი დღე ყველაზე ბედნიერი იყო ჩვენთვის, ვტკბებოდით დიდი პროლეტარული მწერლის საუბრით, რომელშიც გამოსჭვიოდა ჩვენი სამშობლოს მხურვალე სიყვარული, აღტაცებით ჰყვებოდა იგი საბჭოთა ქვეყნის წარმატებებსა და მომავალზე... წამოსვლისას მწერალი გადაგვეხვია, გადაგვკოცნა და გვთხოვა, საუკეთესო სურვილები გადაგვეცა მისი მეგობრებისა და ქართველი ხალხისათვის“ — წერს ი. ფრანგულიანი.

ფოტოსურათი (რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი) ი. კონიაშვილის, ი. მჭედლიძის და მათი ნათესავების ოჯახებში ვერ აღმოვაჩინეთ. საქართველოს კინოფოტოფონო დოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახება ი. ფრანგულიანის ოჯახიდან წაღებული ფოტოსურათის მხოლოდ ნახევარი.

ახლახან მოსკოვიდან მ. გორკის სახლ-მუზეუმის თანამშრომლების (ე. მ. გერასიმოვას, ნ. ი. გოლოვიცკაიას) დახმარებით მივიღეთ ამ ფოტოსურათის მთლიანი ვარიანტი, რომელიც გადაღებულია მწერლის ვაჟის მაქსიმეს მიერ; იგი სრულყოფილი სახით პირველად ქვეყნდება ეს ისტორიული ფოტოსურათი სასურველია საქართველოს მუზეუმებსა და არქივსაცავებში ინახებოდეს, როგორც მაქსიმ გორკისთან ქართველი ხალხის მეგობრობის მკაფიო დადასტურების კიდევ ერთი უტყუარი საბუთი.

რამაზ სურმანიძე,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.



გზაზე მდიდარი და აზნაური მიდიოდა, მათ გლეხი შემოხვდათ. გლეხმა სალამი მისცა მგზავრთ. აზნაურმა ქუდი მოიხადა და სალამი სალმითვე გადაუხადა გლეხს.

— როგორ, გლეხს თავს უკრავთ?— გაიკვირვა მდიდარმა.

— თქვენი აზრით, გლეხი ჩემზე უფრო ზრდილობიანია? — უპასუხა აზნაურმა.

* * *

პარიზის პოლიციის პრეფექტს განუზრახავს ხელი შეუწყოს და მფარველობა გაუწიოს ბავშვების სათამაშოების გამომგონებელთ. გონება და ენამახვილი პარიზელები, რასაკვირველია, ამ შემთხვევასაც არ გაუშვებდნენ ისე, რომ რაიმე არ ეოხუნჯათ.

— განა მარტო გამომგონებლების დაჯილდოებით შეიძლება ხელი შეუწყოს საბავშვო სათამაშოების მრეწველობის განვითარებას?

— სხვა რომელი საშუალება იცით?

— ჯილდო უნდა მიეცეს იმ ბავშვსაც, რომელიც სხვაზე მეტ სათამაშოს დაამტვრევს და გააფუჭებს.

* * *

ბერლინის ბირჟის გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი ამერიკელი მილიონერის მორგანის შესახებ:

მორგანს ძალიან ეჯავრება თურმე გაზეთების კორესპონდენტებთან ბაასი. ამას წინათ ლონდონის ერთი დიდი გაზეთის თანამშრომელს წერილი მიუწერია — ორი წუთით თქვენი ნახვის ნება მომეციო. მილიონერმა მაშინვე უპასუხა: არ შემიძლიაო, ყოველი წუთი ჩემი ცხოვრებისა 10 გირვანქა სტერლინგი ღირსო. ჟურნალისტმა ამაზე უპასუხა — გადაგიხდით 20 გირვანქას, ოღონდ ნება მომეცი, მოვიდეო. მორგანმა თავისი სიტყვა უკან ვეღარ წაიღო და უარი ვერ უთხრა. მეორე დღეს ჟურნალისტი მივიდა მორგანთან.

— რა გნებავთ ჩემგან? — მიაძახა შესვლისთანავე მორგანმა.

— არაფერი. მე გთხოვეთ 2 წუთით თქვენი ნახვის ნება: თქვენ ეს დააფასეთ 20 გირვანქა სტერლინგად; აი ეს ფული მიიღეთ!

— მერე?

— მეტი არაფერი!

— მაშ, რისთვის გინდოდათ ჩემი ნახვა?

— იმისათვის, რომ მე სხვას დავენაძლევე, თუ ვინიცობაა თქვენ განახავდით, 100 გირვანქა უნდა მოეცა ჩემთვის. სანაძლეო მოვიგე. მე მოგეცით 20 გირვანქა, დამრჩა 80 გირვანქა. ამნაირად მე 30 გირვანქით მეტი მოვიგე წუთში, ვიდრე თქვენ!..

მილიონერი სახტად დარჩა და გაოცებული შეჰყურებდა მოხერხებულ ჟურნალისტს.











საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

თერხან არჩვაძის ფოტო





ეროვნული ბიბლიოთეკა



ზურაბ დათუაშვილის
ფოტო

- სტალინგრადის ბრძოლის გმირთა ან სამბლი.
  მოქანდაკე ევგენი ვუჩეტიჩი
- „არწივი ვნახე დაჭრილი".
  ძეგლი ზესტაფონში. მოქანდაკე
  ელგუჯა ამაშუკელი.
- ქართვლის დედა.
  მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სერიიდან „თბილისური მოტივები". თარხან არჩვაძის ფოტო.



მოთხრობა

# ბერიკაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალეკო მითაიშვილი

მხატვარი თენგიზ სამსონაძე.



საღამო ხანს, როცა გლეხები ყანიდან ბრუნდებოდნენ, კირილე მასხულია სოფლის თავშესაყარ მოედანზე გამოვიდოდა, ბებერი ცაცხვის ქვეშ ჩამოჯდებოდა, თუთუნს გააბოლებდა და საუბარში გართულ თანასოფლელებს თვალს გააყოლებდა.

— ბატონ კირილეს გაუმარჯოს! — ესალმებოდნენ გლეხები.

— იცოცხლეთ, შვილებო! — უპასუხებდა ბერიკაცი და თუ ვინმე მის გვერდით ჩამოჯდებოდა, გულღია საუბარს გაუბამდა.

ქვეყნის ამბავი იცოდა კირილემ. მოსაგონარი ბევრი ჰქონდა დროულ კაცს.

პატიოსან, მშრომელ, ალალმართალ და შეძლებულ კაცად იცნობდნენ კირილე მასხულიას თანასოფლელები. შრომაც კაცური იცოდა და პურ-მარილიც. ოთხი ვაჟიშვილი ჰყავდა და ოთხივე ცალკე დაასახლა. კარგი რძლები ჰყავდა და მათ მზეს ფიცულობდა, შვილიშვილების სიყვარულით დღეგრძელი იყო. საყვარელი მეუღლე ათი წლის წინათ გარდაეცვალა. მარტოდ დარჩენილმა ანდერძი დაწერა, სიკვდილის შემდეგ მის ორსართულიან ოდასახლში საბავშვო ბაღი გაეხსნათ. ყველას გაუკვირდა მისი ახირება, — ასეა საჭირო, — თქვა კირილემ, — მეც დამშვიდებული წავალ იმ ქვეყნად და ვაჟიშვილებსაც არაფერი ექნებათო სადავო.

ახალგაზრდობაში კირილე ჩალვადარი იყო და კარგი ფულიც იშოვა, შესანიშნავი ეზო-სახლკარი გამართა. ფოთიდან მან პირველმა ამოიტანა თეთრი სიმინდის თესლი, იზაბელასა და მანდარინის ნერგი. რევოლუციას პირველმა დაუჭირა მხარი, ჩალვადრობა დაივიწყა და ორმოცდაათი წელი კოლექტივს აშენებდა.

ახლა პენსიაზე იყო და საკუთარ სახლკარს უვლიდა. აღმერთებდა მშრომელ კაცს, ზარმაცსა და მუქთახორას საქვეყნოდ კიცხავდა. განსაკუთრებით უყვარდა ძალღონიანი ახალგაზრდები. ხშირად მიუჯდებოდა მაგიდას, როცა ისინი ქეიფობდნენ. ვაი მისი ბრალი, ვინც დანახარჯის გადახდას დააპირებდა — ფული კირილეს უნდა გადაეხადა, — ალალი შრომით მაქვს ნაშოვნი და ალალ ბიჭებში უნდა დავხარჯოო, — იტყოდა.

ახალგაზრდობის დროინდელი ერთი მეგობარი ჰყავდა კირილეს — აცანელი ისიდორე ჩხაიძე, მასავით ოთხმოცს მიტანებული და თეთრწვერა. ხან კირილე აკითხავდა აცანაში, უფრო ხშირად კი ისიდორე ჩამოდიდოდა კირილესთან. როცა მანდარინის კრეფა ჰქონდა, ისიდორე ერთი კვირა რჩებოდა მასთან, გულით ხარობდნენ და შვილიშვილებთან ალერსში ატარებდნენ დროს.

შემოდგომის მიწურულს მოულოდნელად ესტუმრა ისიდორე.

კირილემ უმცროსი რძალი მანანა იხმო; მოგიზგიზე ბუხრისპირას სახელდახელო სუფრა გააწყობინა.

— რძალო, ახლა წადი, ბერიკაცები მოვუვლით თავს!

— თქვენი ნებაა, მამა ბატონო! — უპასუხა ქალმა და ჩუმად გავიდა.

— აბა, ახლა მომიყევი როგორ ხარ, რას შვრებიან შენი ბიჭები? — უთხრა მეგობარს კირილემ, როცა ბუხრისპირას სამფეხა სკამზე ჩამოჯდა.

— აგაშენა გამჩენმა, ჩემო კირილე, ყველაფერი კარგადაა, ისემც კარგი დაგემართოს! — უპასუხა ისიდორემ.

— გამახარე, გამახარე, შენმა მზემ, — ჩაილაპარაკა კირილემ და ჭიქა სისხლივით წითელი იზაბელათი შეავსო, — ჩემი დაწურულია!

— ვიცი, კარგი იქნება, — ისიდორემ ღვინოს ჭაშნიკი გაუსინჯა, — იფ, იფ, რა კარგია. გახსოვს, ცხრაასთხუთმეტში პერტიას დუქანში აბაშური იზაბელა რომ დავლიეთ?

— როგორ არ მახსოვს, შე კაცო!

— ჰოდა, იმ იზაბელას მაგონებს აგი ღვინო!

— აბა, აბა!..

დიდ ხანს იღუღუნეს მეგობრებმა. ათასი ამბავი გაიხსენეს, კარგად შეზარხოშდნენ და კრიმანჭულიც წამოიწყეს. გული რომ იჯერეს, საწოლში შეძვრნენ და მშვიდად ჩაეძინათ.

უთენია წამოდგნენ. უფროსმა რძალმა ხელპირი დააბანინა. მანანამ ტაბლა გააწყო, შუათანა რძალმა ღვინო ჩამოასხა, უმცროსი კი მაგიდისკენ წაუძღვა ბერიკაცებს.

მეგობრები სუფრას რომ შემოუსხდნენ, რძლებმა თავი მდაბლად დაუკრეს და სათითაოდ გაიკრიფნენ ოთახიდან.

— გაიხარა თქვენმა გამზრდელმა, რა კარგი ქალებია, — ჩაილაპარაკა ისიდორემ.

— რძლები მართლა კარგებია, მაგრამ ბიჭები მყავს მუტრუკები!

— ვითომ რატომო?

— გარე-გარე დაძვრებიან, ეგ მამაძაღლები!

— უყურე შენ! დაგავიწყდა, შენმა ცხონებულმა კესარიამ ცენტერაძის ქვრივთან რომ გამოგიჭირა?!

— ჰი, ჰი, რა კარგი იყო ის ოჯახქორი, ჰა?

—აბა, აბა!..

წასვლისას კირილემ ისიდორეს ქაღალდში გახვეული შეკვრა მიაწოდა...

— აგიშენდა ოჯახი! — უთხრა ისიდორემ მეგობარს.

— გამაგრდი, ბერიკაცო, აგერ არა ვარ?

— კარგად იმგზავრე!

— იცოცხლე, იცოცხლე!..

სანამ ისიდორე მოსახვევში გაუჩინარდებობოდა, იდგა ჭიშკართან კირილე. უკან შემობრუნებულმა ამოიოხრა. მეგობრის წასვლამ გული დასწყვიტა ბერიკაცს; არასოდეს მოსვლია ასე.

●

ბარაქიანი შემოდგომა იდგა. ყურძნის მოსავალს კარგი პირი უჩანდა.

კირილემ სართვლოდ თადარიგი დაიჭირა — საწნახელი გარეცხა, ქვევრები დაასუფთავა, გიდელები და გოდრები შეაკეთა. რძლებს პურ-მარილის თადარიგი დააწყებინა.

რთველში ძველებურად მოიწვია მეზობლები.

— მამა ბატონო, ხეზე ნუ ახვალთ! — შეკადრა უფროსმა რძალმა.

— დით, არ გამაგონო, ჯერ არ ყოფილა პირველი გიდელი არ ჩამომეშვას და!...

— თქვენი ნებაა, მამა ბატონო, მაგრამ რატომღაც გული მეუბნება არ ავიდესო და...

ხეს წვერზე მოექცა კირილე, თოკი ძირს ჩამოუშვა და რძალს ჩამოსძახა:

— გამოაბი გიდელი!

რძალმა გიდელი თოკს გამოაბა.

— მშვიდობით ჩამობრძანდით, მამა ბატონო!..

სადილობა მოახლოვდა. რძლებმა ასწლოვანი ცაცხვის ქვეშ გაშალეს სუფრა. ხალხს მოუხმეს.

— მამა ბატონო, სადილზე მობრძანდით! — ასძახა მანანამ მამამთილს, მერე თავისთვის ჩაილაპარაკა, — ღმერთო, მშვიდობით ჩამოიყვანე!

— ახლავე, შვილო, — უპასუხა რძალს კირილემ.

ფრთხილად ჩამოდიოდა ბერიკაცი. ხის შუა წელს რომ ჩამოსცდა, მარცხენა ფეხის შენაცვლება სცდა და მარჯვენით რომელიღაც ტოტს დაეყრდნო. ტოტი ხმელი აღმოჩნდა და მოტყდა. კირილემ ხელის ჩავლება ვეღარ მოასწრო, პირაღმა ამოტრიალდა და ქვევით დაქანდა.

— ვაიმე, შვილებო! — ერთი კი მოასწრო, ტკივილისაგან მწარედ დაიკლაკნა.

წამოდგომა სცადა, წელი ვერ აიტანა, დაყვირება სცადა — ხავილი აღმოხდა.

სამზადისიდან გამოსულმა მანანამ პირველმა შენიშნა გაშოტილი ბერიკაცი. კივილი მორთო, ხალხი მოცვივდა. ვაჟიშვილებმა ხელში აიტაცეს მამა და ცაცხვის ქვეშ, მის საყვარელ სკამლოგინზე ფრთხილად დააწვინეს.

— ცრემლი არ დამანახოთ! — ჩაიდუდუნა კირილემ. იგი მძიმედ სუნთქავდა.

— შოთა, გავარდი ექიმთან! — უთხრა უფროსმა ძმამ შუათანას.

— ფეხი არ გადადგა! — ბრძანა კირილემ, — არ არის საჭირო. ვეღარ მიშველის, ჩემი წუთები დათვლილია, — მან ოდნავ შეისვენა, თვალი მილულა, თითქოს ძალა მოიკრიფაო, ოდნავ წამოიწია, — აქ მოდით ყველა!

ეს ყველას გასაგონად იყო ნათქვამი — შვილების, რძლების, შვილიშვილების, თუმცა ყველა მას ეხვია.

— საარქაო პირი აღარ მაქვს. ასეთი ყოფილა ჩემი წუთისოფელი, არცა ვარ სატირალი. ჩემი დრო მოვჭამე, ბოლოსდაბოლოს რაღაცამ ხომ უნდა მომკლას. გულს არ მაკლია. ერთი სათხოვარი მაქვს: რომ მოვკვდები, არ გამყიდოთ, გადასახურავი არ აკრიფოთ. იმდენ ქონებას კი ვტოვებ, კაცურად რომ დამასაფლაოთ. გული არავის ატკინოთ, ჩემი სახელი არ შეაგინებინოთ. არც ჰოროველა გამიმართოთ. მტერ-მოყვარე არ გამოგრჩეთ, ჩემი ძმა ისიდორე არ დაგავიწყდეთ, გაგიჟდება ბერიკაცი, შეატყობინეთ იმ ღვთით გაჩენილს...

●

კარგა ხანია არ ახსოვდა სოფელს ასეთი დაკრძალვა — უთვალავ ხალხს მოეყარა თავი.

მზიანი ამინდი იდგა. მიცვალებული ეზოში ცაცხვის ქვეშ დაასვენეს. სოფლის მასწავლებელმა მელიტონ მეგრელაძემ გულის ამაჩუყებელი სიტყვა თქვა.

კირილეს ვაჟები ჭიშკარს მიშტერებოდნენ — ვიღაცას ელოდნენ. საცაა გაასვენებდნენ და ის კი არ ჩანდა.

რძლებმა დაიტირეს მამა ბატონი. შვილები შუბლზე ეამბორენ მამას. ის იყო მიცვალებული ეზოდან უნდა გაეტანათ, რომ...

— მოვიდა! — თითქოს შვებით ჩაილაპარაკეს ძმებმა.

ფართოდ გაღებულ ჭიშკარს მხედარი მოადგა; შავ ჩოხა-ახალუხში იყო გამოწყობილი. თეთრი წვერი მკერდზე ეფინა, სახე შავი ყაბალახით მოებუდრა, სასწრაფოდ ჩამოქვეითდა, ცხენი ღობეზე მიაბა, ყაბალახი მოიშვლიპა და კისერზე გადაიგდო, მძიმედ გადმოდგა ნაბიჯი მიცვალებულისაკენ.

— მამა ბატონო, შენი საყვარელი ისიდორე გესტუმრა, ადექი, შეეგებე, შემოგევლოს შენი მანანა! — დაატირა კირილეს რძალმა.

ისიდორემ მდაბლად დაუკრა თავი ყველას, სათითაოდ გადაკოცნა შინაურები, მერე ცხედართან მივიდა, გაირინდა. კირილეს სახეს დააკვირდა, ცრემლი მჯიღში მოიმწყვდია, დაიხარა და შუბლზე აკოცა.

— შეგირცხვა თავი, რატომ მიღალატე, ბიჭო! — თითქოს ყურში უჩურჩულაო.

დიდი ხნის დუმილის შემდეგ ისიდორე წელში გასწორდა, კირილეს ვაჟებს შეხედა და წუთით ჩაფიქრდა. ეტყობოდა ყოყმანობდა, ვუთხრა თუ არაო.

— ხომ არ გაგიყიდიათ, ბიჭებო, მამა?! — იკითხა ბოლოს.

— არა! — იყო პასუხი:

— აგაშენათ გამჩენმა. გამახარეთ სწორედ... — თქვა თვალებგაბრწყინებულმა ისიდორემ, — ბიჭებო, კირილეს ფული თუ ჰქონდა გასესხებული?! — იკითხა მან.

— არა! — უპასუხეს ძმებმა.

— ასეც ვიცოდი, — ჩაილაპარაკა ისიდორემ. მეორე უბეში ხელი ჩაიყო და რაღაც შეკვრა ამოიღო, — შვილებო, ამ ერთი წლის წინათ თქვენმა მამამ ათასი მანეთი მასესხა. აი, მილეთის ხალხი იყოს მოწმე, კირილეს ვალს ვუბრუნებ! — ისიდორემ ქაღალდის შეკვრა მიცვალებულს მკერდზე დაადო, — დიდი მადლობა, ჩემო ძამია, შენმა შვილებმა მოიხმარონ შენი ნაოფლარი! — ჩაილაპარაკა და გვერდზე გადგა.

ერთმა მეზობელმა მეორეს გადაულაპარაკა:

— გამოჩერჩეტებულა აი ბერიკაცი, თუ მოწმე არ ჰყავდა, რას მოარბენინებდა ამ ფულს, ვერ მოიხმარა? ვინ ყავდა მოდავე?

— სინდისი, ბაბუ, სინდისი! — გამოეპასუხა მეორე.

კირილეს ცხედარს წინ მიუძღოდა თეთრწვერა ბერიკაცი — კირილეს ყრმობის მეგობარი, მისი თანატოლი და ძმადნაფიცი.

●

კირილეს დასაფლავებიდან მეხუთე დღეს ოჯახში აცანიდან მაცნე მოვიდა, მეგობრის სიკვდილი ვერ გადაიტანა ისიდორე ბატონმა და კვირას კრძალავენო საწყალს.

# ახალი ლექსები

ტაგუ მეგურიშვილი

## ჩემი სიცოცხლე იმათ ხსოვნას სანთლად უნთია

ქვეშეს ციხეზე
ფრთებშერუჯულ ნიავს მკათათვის
მოაქვს სურნელი
გადათიბულ,
ჩამქრალ მდელოსი.
გაოცების ნიჭს
რა შეგარჩენს საქართველოში,
რომც შემრჩენოდა,
სულ ერთია,
აქ დავკარგავდი.
ჩავძახი ქვევრებს,
კლდეში ნაკვეთს,
ათას ფუთიანს,
არა სადვინოს,
მხოლოდ საწყლეს
და სახორაგეს...
ვინც აქ მტრის სისხლით, ბილწი სისხლით
რწყავდა გორაკებს,
ჩემი სიცოცხლე
იმათ ხსოვნას სანთლად უნთია.
მგონია, ცაში
ანგელოზთა ფრთხიალებს გუნდი
და მარადისი,
ვით ღვთიური ხატი ხახულის,
ნამუსის ქუდად
პიტალო კლდეს ციხე ახურავს
და მზეში ბრწყინავს
საქართველოს ნამუსის ქუდი.

## ოცი წლის შემდეგ

ოცი წლის შემდეგ,
    შემოსილი შუქთა მოვითა,
ჩემი სიზმრების
    გაზაფხული ისევ მოვიდა.
კი არ მოვიდა,
    სიყვარულის ფრთებით მოფრინდა,
ჩემი წარსულის
    დატირებულ წუთისოფლიდან.
შენ მოხველ ჩემთან
    გულწითელა მზით და სამოთხით
და ჩემს მარცხენა
    ხელის გულზე
        ბედს მკითხაობდი.
არსად საზღვრები,
    ღობეები,
        არსად მიჯნები...
ჩრდილის და ლანდის
    სიმსუბუქით მივაბიჯებდით.
რადგან ჯერ ქვეყნად
    არ გვეგემნა
        ცოდვის ნაყოფი
და ყველა ბოროტ სადედეზე
    კეთილს ვამყნობდით.
მხრებზე პეპლები
    გვასხდებოდნენ მეჩხერ ჩეროთა,
შენი სიცილი
    ყვავილივით იფურჩქნებოდა.
რა მიმოზები.
    რა ტიტები
        და რა იები!
დარაიები.
    ნისლის ლურჯი დარაიები!
შენ საქორწილოდ
    გაზაფხულის ცას იკერავრდი...
ჩემგან მოძღვნილი
    თეთრი ვარდი
        გესხა ყელამდი.
სივრცეს ავსებდა
    შენი ღამის ცისარტყელები
და მე ყამარის
    კოშკს ვაგებდი
        შიშველ ხელებით.
ბოლოს დამადგა
    ჯალათივით
        თავზე ღვიძილი,
გაქრა ზმანება,
    სანთელივით ჩაქრა სიცილი.
        ........
დავბრუნდი ცხადში...
    ვწევარ,
        თავი ბალიშზე მიდევს
და მიხარია,
    სიზმრის ნიჟი
        რომ შემრჩა კიდევ.

# მძიმე საათი



იგი წამოდგა მაგიდიდან, თავისი პატარა, ძველისძველი საწერი მაგიდიდან, წამოდგა სასოწარკვეთილი და თავჩაქინდრული წავიდა სვეტივით მაღალი ღუმელისაკენ, რომელიც ოთახის კუთხეში იდგა. შორენვეცს ხელები მიადო, მაგრამ მთლად გაციებულიყო, რადგან შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო. მაინც მიეყრდნო ზურგით, თუმცა მცირედი სითბოც კი არ უგრძვნია, ხველებ-ხველებით მჭიდროდ შემოიხვია შლაფროკის კალთები, რომლის გულისპირზედაც რეცხვისაგან გახუნებული მაქმანიანი ჟაბო გადმოჰფენოდა და გაჭირვებით მოიხოცა ცხვირი, რომ ცოტაოდენი ჰაერი შეესუნთქა; როგორც ყოველთვის, ახლაც სურდო სჭირდა.

ეს იყო რაღაც განსაკუთრებული და საშინელი სურდო, რომელიც თითქმის არასოდეს არ სცილდებოდა. თვალის ქუთუთოები ანთებოდა და ცხვირის ნესტოები ჭრილობასავით ჰქონდა გაწითლებული. სურდო მძიმე, მტანჯველ სიმთვრალესავით გასჯდომოდა ძვალსა და რბილში. ან იქნებ ამ უხალისობისა და მოდუნების მიზეზი ერთთავად შინ ჯდომა იყო, რაც ექიმმა აი, უკვე თითქმის რამდენიმე კვირაა მიუსაჯა?! ღმერთმა უწყის, არგებს კი? იქნებ ეს, მართლაც, საჭირო იყო, ქრონიკული კატარისა და მუცლის არეში კრუნჩხვების გამო. თანაც უკვე რამდენიმე კვირა იენაში ცუდი ამინდი იდგა, დიახ, რამდენიმე კვირა, აუტანელი და საძულველი ამინდი, რომელიც ყოველ ნერვში ატანდა, ულიმღამო, პირქუში, ცივი, დეკემბრის ქარი კი უსაშველოდ და ულვთოდ ღმუოდა ღუმელის მილში, თითქოს ქარბუქითა და ღამით მოცულ ველზე, მიუსაფრობასა და სულის უკურნებელ კაეშანზე მოთქვამსო. მაგრამ კარგი არც ეს სულის შემხუთავი ტყვეობა იყო; კარგი არ იყო აზრებისა და სისხლის რიტმისათვის, სადაც ეს აზრები იბადებოდა.

ექვსკუთხა ოთახს, შიშველს, მკაცრსა და მოუხერხებელს, თეთრად შეფეთქილ ჭერს, რომლის ქვეშაც თამბაქოს სქელი ბოლი ნისლივით ჩამოწოლილიყო, ირიბუჯრედებიან შპალერს, რომელზედაც ოვალურ ჩარჩოებში ჩასმული სილუეტები ეკიდა და ხუთიოდე წვრილფეხებიან სკამ-სავარძელს შუქს ჰფენდა ორი სანთელი საწერ მაგიდაზე, ხელნაწერის თავთით რომ ენთო. ფანჯრის ზედა ჩარჩოებზე მხოლოდ მოკლე, სიმეტრიულად მოხატული ჩითის წითელი ფარდები ეკიდა. ფარდები თბილი სონორული წითელი ფერისა იყო, ძალიან უყვარდა და ვერასოდეს შეელეოდა მათ, რადგან მის ღარიბულ ოთახს ერთგვარი ფუფუნებისა და განცხრომის ელფერს აძლევდა.

იდგა ღუმელთან და ავადმყოფურად დაძაბული თვალის ხამხამით გაჰყურებდა ნაწარმოებს, რომელსაც გამოექცა. ამ ტვირთს, ამ ჯაფას, ტანჯვაწამებას სინდისისას, ამ დაულეველ ზღვას, საშინელ ამოცანას, რომელიც მის სიამაყესა და უბედურებას, დიდებასა და შერისხვა-შეჩვენებას წარმოადგენდა. ჯერ გაჭირვებით მიიწევდა წინ, შემდეგ შებრკოლდა, ბოლოს სულ შეჩერდა. ეს უკვე მერამდენედ, უკვე მერამდენედ! ამინდის ბრალი იყო, კატარისა და დაღლილობისა ,ან იქნებ ნაწარმოებისა, თავად ამ უბადრუკი სამუშაოსი, რომელიც სასოწარკვეთილებით აღძრული დვრიტა იყო?

—

* თომას მანის ნოველის „მძიმე საათის" გმირია დიდი გერმანელი პოეტი და დრამატურგი ფრიდრიხ შილერი.

წამოდგა, ცოტათი მაინც რომ მოშორებოდა ხელნაწერს, რადგან გარკვეული მანძილით მისგან დაცილება ხშირად შვებას ანიჭებდა ხოლმე, შესაძლებელი ხდებოდა მასალის უფრო ფართოდ განჭვრეტა და გადაწყვეტილებების მიღება. იყო შემთხვევები, როცა ბრძოლის ადგილს ზურგშექცეული სულს მოითქვამდა და აღფრთოვანდებოდა შემდგომი მუშაობისათვის. და ეს აღფრთოვანება ბევრად უცოდველი იყო, ვიდრე ლიქიორის ანდა შავი, მაგრამ ყავის სმა. მაგიდაზე პატარა ფინჯანი იდგა. აი, ის რომ უშველიდეს დაბრკოლების გადალახვაში! ო, არა, არა, მეტი აღარ! მარტო ექიმი კი არა, არამედ ისიც კი, გაცილებით მცოდნე და ცნობილი, ამასვე ურჩევდა. ის, ვინც იქ, ვაიმარში ცხოვრობდა და ვისაც მტრობანარევი სიყვარულით ელტვოდა. იგი ბრძენია. იცის, როგორ იცხოვროს, როგორ შექმნას, არ ეწამება და საკუთარი თავის მიმართ ზედმიწევნით ყურადღებიანია.

სახლში სიჩუმე სუფევდა. ისმოდა მხოლოდ ქარის ზუზუნი, რომელიც შლოსგასედან ქროდა და წვიმის ხმა, როცა წყლის წვეთები ფანჯრის მინებს ესხურებოდა. ყველას ეძინა, სახლის პატრონსა და მისიანებს — ლოტასა და ბავშვებს. მხოლოდ იგი ფხიზლობდა, მარტოკა იდგა გაციებულ ღუმელთან და განაწამები, თვალის ხამხამით გაჰყურებდა თხზულებას, რისადმი რწმენაც ავადმყოფური დაუკმაყოფილებლობის გრძნობას უკარგავდა... გრძელი, თეთრი კისერი ყელსახვევიდან ამოსჩროდა. ხალათის გადახსნილი კალთებიდან მოღრეცილი ფეხები მოუჩანდა. წითური თმა მაღალი და ნატიფი შუბლიდან უკან ისე გადაევარცხნა, რომ მქრქალად დაძარღვული საფეთქლები მოშიშვლებოდა და წვრილი კულულები ყურებს უფარავდა. გრძელი, კეხიანი, მოთეთრო, მკვეთრი წვეტით დაბოლოებული ცხვირის დასაწყისში თავს იყრიდა ხშირი, თმაზე უფრო მუქი წარბები, რაც ისედაც ჩაცვენილსა და დაწითლებულ თვალებს კიდევ უფრო ტრაგიკულ იერს აძლევდა. იძულებული იყო პირით ესუნთქა, თხელ ტუჩებს ფართოდ აღებდა და ჭორფლიანი, ოთახის ჰაერისაგან ფერდაკარგული, გალეული ლოყები უცვივდებოდა.

არა, არ გამოუდიოდა, ამაო იყო ყოველივე. არმია! არმია უნდა ეჩვენებინა! არმია იყო ყველაფრის საფუძველი! მაგრამ ვაი, რომ ეს შეუძლებელი იყო. განა წარმოიდგენდით ისეთ დიდ ხელოვნებას, რომელიც ადამიანს წარმოსახვის ძალით მთელ არმიას თვალწინ დაუყენებდა. და არც გმირი იყო ნამდვილი გმირი; არაკეთილშობილი და ცივი გამოუდიოდა, ჩანაფიქრი ყალბი იყო, ყალბი იყო ენაც. და რა მიიღო! მშრალი, აღმაფრენას მოკლებული გაკვეთილი ისტორიისა, გატრიზავებული, არაფრისმთქმელი და სცენისათვის უვარგისი.

გათავდა, მორჩა ყველაფერი, დამარცხდა. ხელი მოეცარა. გაკოტრდა. ამის შესახებ მისწერს კორნერს, კეთილ კორნერს, რომელსაც სწამს მისი და ბავშვური გულუბრყვილობით უყვარს მისი გენია. იგი მეგობრულად დატუქსავს, ხუმრობაში ჩაუტარებს, ხვეწნას დაუწყებს; — მოაგონებს კარლოსს, რომელიც აგრეთვე ეჭვებით, ჯაფითა და გარდაქმნებით იშვა და ბოლოს, მთელი ამ ტანჯვა-ვაების შემდეგ, დიდებული და სახელოვანი ქმნილება აღმოჩნდა. და ის მაინც სულ სხვა იყო, იმხანად შეეძლო მარჯვედ ჩასჭიდებოდა საქმეს და გამარჯვებით დაეგვირგვინებინა. ეჭვი და შინაგანი ბრძოლა?.. ო, როგორ არა! მაშინ ხომ ავად იყო და უფრო მძიმედაც, ვიდრე ახლაა. იყო ეული, ლტოლვილი, მთელ ქვეყანასთან წაკიდებული, ბედშავი და არაფრის მქონე, მაგრამ ახალგაზრდა, სულ მთლად ყმაწვილი! ყოველთვის, რაგინდ დათრგუნვილიც არ უნდა ყოფილიყო, მსწრაფლ იფეთქებდა გონება მისი და საათობით სასოწარკვეთილებაში მყოფს რწმენა და გამარჯვების შინაგანი აღმაფრენა ეუფლებოდა. გაქრა შთაგონება, თითქმის სრულად. რას უშველიდა მგზნებარე განწყობილებით აღსავსე ერთი ღამე, როდესაც გენიალური სახმილის შუქზე ერთბაშად განსჭვრეტდა ხოლმე, რაც უნდა გაეკეთებინა, თუკი ასეთი წყალობა წყვდიადითა და უნიათობით მოცული მთელი ერთი კვირით უნდა ეზღო. გადაიღალა, ჯერ სულ რაღაც ოცდაჩვიდმეტი წლისა იყო და უკვე დასასრულს ხედავდა. რწმენა აღარ ცოცხლობდა მის გულში, მომავლის რწმენა, რომელიც გაჭირვებაში მისი მანათობელი ვარსკვლავი იყო. და ყველაფერი ეს სინამდვილე გახლდათ, შემაძრწუნებელი სინამდვილე; წლები სიდუხჭირისა და არარაობისა, რომლებსაც ვნებათა და გამოცდის წლებად მიიჩნევდა, სწორედ ეს წლები ყოფილა ნაყოფიერი და უხვი, ახლა კი, როცა წილად ხვდა მცირე ბედნიერება, სახელი და დიდება მოეხვეჭა, გახდა ქმარი და მამა, — უკვე გამოფიტული და ამოწურული იყო. უნიათობა და უიმედობა — აი, ყველაფერი, რაც შემორჩა.

ამოიოხრა, ხელები თვალებზე აიფარა და ოთახში გახელებით მოჰყვა ბოლთის ცემას. რაც ეს-ეს არის გაიფიქრა, ისე შემზარავი იყო, რომ არ შეეძლო იმ ადგილზე გაჩერება, სადაც ეს აზრი მოუვიდა. კედელთან მდგარ სკამზე ჩამოჯდა, გულზე დაკრეფილი ხელები დაუშვა, მუხლებს შორი მოიქცია და გაოგნებული იატაკს ჩააშტერდა.

სინდისი... ო, როგორ ჰქეჯნის იგი! მთელი ამ წლების განმავლობაში სცოდავდა საკუთარი თავის წინაშე, ისეთი სუსტი მექანიზმის წინაშე, როგორიც მისი სხეული იყო. ჭაბუკურ გზნებათა მოზღვავება, გატეხილი ღამეები, თამბაქოს ბოლით გაჟღენთილ ოთახში გატარებული დღეები, სულის აღზევება და სხეულისადმი დაუდევრობა, აღმგზნები საშუალებები, რომელთა დახმარებითაც თავს ძალას ატანდა, რომ სამუშაოს ჩასჯდომოდა; ყოველივე ამან ახლა იჩინა თავი, ახლა უზღავს სამაგიეროს!

და თუ ყოველივე ახლა იძიებს შურს, მაშინ წინ აღუდგება ღმერთებს, რომლებიც ჯერ ბრალს დასდებენ, შემდეგ კი თვითონვე გამოუტანენ განაჩენს. სწორედ ისე ცხოვრობდა, როგორც უნდა ეცხოვრა; დრო არ ჰქონდა, ბრძენი ყოფილიყო, წინდახედული ყოფილიყო. აი, აქ, მკერდის არეში, მუდამ ერთსა და იმავე ადგილას, სუნთქავდა, ახველებდა თუ ამთქნარებდა, გულს ულრღნიდა, სულს უფორიაქებდა, არ ყუჩდებოდა ტკივილი, წყეული, მჩხვლეტავი, მბურღავი მოგონება. ეს უკვე მას აქეთ ხდებოდა, რაც ხუთი წლის წინათ ერფურტში კატარი დაემართა და ფილტვები დაუავადდა; რას მოასწავებდა იგი? სინამდვილეში მისთვის ერთობ ნათელი იყო. ექიმმა კი დაე, როგორც სურ-

დეს და მოეპრიანოს, ისე მოატყუოს. დრო არ ჰქონდა თავს გონივრულად გაფრთხილებოდა, სათუთად მოპყრობოდა და ისე გაძღოლოდა საქმეს. რისი გაკეთებაც სწადდა, მალე უნდა გაეკეთებინა, დღესვე, ახლავე; ზნეობრიობა? მაგრამ რატომ იყო, რომ საბოლოოდ სწორედ შეცოდება, დამორჩილება მავნესა და გამომფიტავისადმი გაცილებით მორალური ეჩვენებოდა, ვიდრე ყოველგვარი სიბრძნე და მკაცრი დისციპლინა? არა, ზნეობა სინდისის სუფთად შენახვის დაწყევლილი ხელოვნება კი არ არის, იგი ბრძოლაა, ტანჯვა და ტკივილია!

ტკივილი... როგორ უფართოვებდა გულს ეს სიტყვა! წელში გაიმართა, გულხელი დაიკრიფა და თვალთა მზერაში წითურ, გადაბმულ წარბებქვეშ მწუხარი ჩივილი გამოუკრთა. ჯერ კიდევ ისე უბედური არ არის, დიახ, მთლად უბედური არ არის ადამიანი, ვიდრე შეიძლება მის გასაჭირს ამაყი და კეთილშობილი სახელწოდება მიეცეს. ერთი რამ არის მხოლოდ საჭირო: ეყოს მხნეობა, რომ თავის ცხოვრებას დიადი და ლამაზი სახელი დაარქვას, თავისი სიდუხჭირე შინ ყოფნასა და ერთავად სკამზე ჯდომას არ მიაწეროს! ჰქონდეს იმდენი ჯანმრთელობა, რომ პათეტიკური იყოს, რათა ხორციელი მხარის მიღმა ჰვრეტა და განცდა შეიძლოს. მხოლოდ ამაში იყოს გულუბრყვილო, სხვა ყველაფერში — ბრძენი! სწამდეს, შესწევდეს ძალა, რომ ტკივილისა სწამდეს... აკი, სწამს კიდეც. და ისე ღრმად, ისე შინაგანად, რომ რაიმე, რასაც კი ტკივილი თან ახლავს, ამ რწმენის თანახმად არც უსარგებლო შეიძლება იყოს და არც ავი. მზერა უცებ ხელნაწერისაკენ გაექცა და ხელები უფრო მჭიდროდ გადააჭდო ერთმანეთს. თვით საკუთარი ნიჭიც განა ტკივილს არ აყენებდა? და თუ იქ, მაგიდაზე, ის უბადრუკი ნაწარმოები აწამებდა, განა ესეც კანონზომიერი და კარგის მომასწავებელი არ იყო? მას ერთი ხელის მოსმით არასოდეს არ შეუქმნია ნაწარმოები. არსებითად ეჭვი სწორედ მაშინ შეეპარებოდა, როდესმე ასე რომ მომხდარიყო. მხოლოდ ზერელედ მომუშავენი და დილეტანტები თუ ქმნიან რაიმეს ამგვარად, ისინი, ვინც ადვილად კმაყოფილდებიან, ანდა უმეცარნი არიან, ვინც შთაგონებისა და ზებუნებრივი ნიჭის გარეშე ცხოვრობს; რადგან ნიჭი ბატონებო და ქალბატონებო, მანდ, ქვევით, პარტერში, არ წარმოადგენს რაღაც ადვილსა და ხელწამოსაკრავს, ნიჭი უნარია მხოლოდ, არც მეტი და არც ნაკლები, თავის საფუძველში მოთხოვნილება, იდეალის კრიტიკული ცოდნა და დაუკმაყოფილებლობაა, რომელიც ტანჯვაში ქმნის და ალიმაღლებს შემოქმედებითს ძალას. უდიდესი უძლები ადამიანისათვის ნიჭია ყველაზე მსახვრალი მათრახი. რა საჭიროა წუწუნი! ან ტრაბახი! თავმდაბლურად, მოთმინებით უნდა იფიქრო იმაზე, რისთვისაც ილწვი. და თუ კვირაში არც ერთი დღე, არც ერთი საათი არ არის ტანჯვისაგან თავისუფალი, რა მოხდა მერე? შრომა და გარჯა, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა, სირთულეებისა და სიძნელეების არად ჩაგდება — აი, ეს არის, რაც კაცს განადიდებს.

წამოდგა, ჯიბიდან სათუთუნე ამოიღო და თამბაქო ხარბად დაყნოსა, შემდეგ ხელები ზურგზე შემოიწყო და ისე გამალებით მოჰყვა ოთახში სიარულს, სანთლების ალი ჰაერის ტალღისაგან აქეთიქით იხრებოდა. სიდიადე! თავის გამოჩენა! მსოფლიოს დაპყრობა და სახელის უკვდავყოფა! როგორ მოვა ამ მიზანთან მათი ბედნიერება, ვინც მარად უცნობი დარჩება? მიზანი ერთია: იყო ცნობილი და საყვარელი დედამიწის ყველა ხალხისათვის! ილაყბეთ თავმოთნეობაზე, თქვენ, რომელთაც არა უწყით რა ამგვარ ზმანებათა და მისწრაფებათა სიტკბოებისა! ყოველივე არაჩვეულებრივი თავმოთნეა, რამდენადაც ევნება და ეწამება. „თქვენ თვით განჭვრიტეთ, — ამბობს იგი, — თქვენ, რომელთაც მოწოდება არ გაგაჩნიათ და ასე უზრუნველად ცხოვრობთ ამ ქვეყანაზე“. პატივმოყვარეობა ამბობს: „ნუთუ ფუჭად ჩაიარა ტანჯვამ? მან ცამდე უნდა ამამაღლოს!“

მოზრდილი ცხვირის ნესტოები დაებერა, მზერა მუქარით აღევსო და თვალები აქეთ-იქით გაურბოდა. მარჯვენა ხელი სწრაფად და ღრმად შეიყო შლაფროკის გადმონაკეცში, ხოლო მომუშტული მარცხენა ძირს დაუშვა. სიწითლემ გადაჰკრა გამხდარ ლაწვებზე, მცხუნვარებამ, რომელიც მისი, როგორც ხელოვანის ეგოისტური სახმილიდან მოდიოდა, იმ ვნებათა ღელვამ თავისი მეობის მიმართ, რომელიც უქრობად ენთო მასში. დიახაც რომ იცნობდა ამ ტრფიალის იდუმალ ზარხოშს; ზოგჯერ მხოლოდ ისიც კმაროდა ხელზე დაეხედა, რომ აღფრთოვანებული სიფაქიზით განმსჭვალულიყო საკუთარი თავისადმი. იმ სიფაქიზით, რომლისთვისაც მზად იყო ემსახურა ხელოვნებისა და ნიჭის ყოველგვარი საშუალებით. მას ჰქონდა ამის უფლება, ამაში ცუდი არაფერი იყო — რადგან თავმოყვარეობაზე უფრო ღრმად მას ჰქონდა შეგრძნება იმისა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, იგი იფერფლებოდა და მსხვერპლად ეწირებოდა რაღაც დიად საქმეს. და ეს ჯილდოს მოლოდინში კი არ ხდებოდა, არამედ უანგაროდ — აუცილებლობის გამო. და თან ეჭვიანობდა: ვერც ერთ ადამიანს ვერ უნდა გაებედა მისი დაჯაბნა, თუკი ამ სიდიადისათვის მასზე უფრო მეტად არ წამებულა.

ვერც ერთს!.. იგი შეჩერდა, ხელი თვალებზე აიფარა, ნახევრად შემოტრიალდა, თითქოს ერიდება, რაღაცას გაურბისო, მაგრამ გულის სიღრმეში უმალვე იგრძნო ჩხვლეტა გარდუვალი ფიქრისა, ფიქრისა იმ ნათელ ხორციელ, მგრძნობიარე, ღმერთივით შეუცნობელ ადამიანზე, იმაზე, ვინც იქ, ვაიმარში ცხოვრობდა და ვისაც მტრობანარევი სიყვარულით ელტვოდა... და ახლაც, როგორც ყოველთვის, ღრმა მღელვარებით იგრძნო, რომ გამალებით რაღაც ამუშავდა მასში. რაც ამ ფიქრებს მოჰყვა: საკუთარი რაობა და ხელოვნება დაეცვა, გაემიჯნა იმისაგან, იმ მეორისაგან, ნუთუ ის უფრო დიდია? რითი ან რატომ? ნუთუ ულმობელი აუცილებლობა იყო, ის რომ იმარჯვებდა? განა მოხდება ოდესმე, რომ მისი დამარცხება ტრაგიკულ სანახაობად იქცეს? შეიძლება ღმერთი იყოს იგი, მაგრამ გმირი კი არა! გაცილებით იოლია ღმერთი იყო, ვიდრე გმირი! იმას რა უჭირს! მისთვის ეს გაცილებით იოლია, ბრძნული და იღბლიანი ხელით ერთმანეთისაგან შემეცნებისა და შემოქმედების გამიჯვნა — შეიძლება ეს უდარდელად, უტანჯველად, მჩქეფარე ნაყოფიერებით მოხდეს, მაგრამ თუკი შემოქმედება ღვთაებრივია, მაშინ შემეცნება გმირობა ყოფილა; და იგი ერთდროულად ორივე იყო — ღმერთიც და გმირიც, ვინც ესოდენ შეგნებით ქმნიდა.

სწრაფვა სიძნელისაკენ. ვინ უწყის, რამდენ წამებად და ძალდატანებად ულირდა ყოველი წინადადება, ყოველი მკაცრი აზრი! რადგან საბოლოოდ უმეცარი იყო, გონებადანისლული და ფანატიკოსი მეოცნებე. მისთვის გაცილებით მეტ სიძნელეს წარმოადგენდა იულიუსის ერთი წერილის დაწერა, ვიდრე რომელიმე საუკეთესო სცენის შექმნა. და ამიტომაც, განა ეს თითქმის უკვე სიდიადე არ იყო? სიუჟეტისა და მასალისაკენ, გამოხატვის შესაძლებლობისაკენ, ხელოვნების შინაგანი რიტმული სწრაფვიდან აზრამდე, მხატვრულ სახემდე, სიტყვამდე, სტრიქონამდე ტანჯვის როგორი გზაა გასავლელი! მისი ნაწარმოებები ფორმის ხატოვნების სრულყოფისა და ხორცშესხმისაკენ დაუდეგარი, სასწაულებრივი ლტოლვა იყო, ლტოლვა იმ მეორე ნათელი სამყაროსაკენ, ვინც უშუალოდ და ღვთაებრივი პირით ამ ცისქვეშეთში ყოველივეს თავის სახელს არქმევდა.

და მაინც, იმის ჯიბრზე: ვინ იყო ისეთი ხელოვანი, ისეთი პოეტი, რომელიც მას, თვით მას გაუტოლდებოდა? ვინ ქმნიდა ისე, როგორც იგი, არაფრიდან, საკუთარი მკერდიდან! განა ლექსი, როგორც მუსიკა, როგორც ყოფიერების ხალასი პირველსახე მის სულში ბევრად უფრო ადრე არ იბადებოდა, ვიდრე მოვლენათა სამყაროში ბადალს მოიძევდა და შეიმოსებოდა? ისტორია, მსოფლიო სიბრძნე, ვნება მარტოოდენ საშუალება და საბაბი იყო, სხვა არაფერი, იმ რაღაცისათვის, რასაც მათთან არაფერი არ ესაქმებოდა, რასაც დასაბამი ორფეოსისეულ სიღრმეში ჰქონდა. სიტყვები და მცნებები მხოლოდ კლავიშები იყო, რომელთაც მისი ხელოვნება ეხებოდა, რათა იდუმალ სიმთა წკრიალი აღეძრა. მერედა, თუ იცნობს ვინმე? ეს კეთილი ადამიანები აქებდნენ და ადიდებდნენ სულისკვეთების სიძლიერისათვის, რომლითაც იგი ამა თუ იმ კლავიშს ეხებოდა. და მისი უსაყვარლესი სიტყვა, უკიდურესი პათოსი, ყველაზე დიდი ზარი, რომლითაც სულის უზენაეს ზეიმებს ახმიანებდა, მრავალს იზიდავდა. თავისუფლება!.. ამ სიტყვაში მას ჭეშმარიტად მეტიც ესმოდა და ნაკლებიც, ვიდრე იმათ, ვინც მხოლოდ შეჰხაროდა ამ სიტყვას. თავისუფლება! რას ნიშნავდა იგი? ნუთუ მხოლოდ ცოტაოდენ მოქალაქეობრივ უფლებებს მთავართა ტახტის წინაშე? თქვენ არც კი დაგესიზმრებათ, რამდენი რამ შეუძლია პოეტის სულს ჩააქსოვოს ამ სიტყვაში! თავისუფლება! კი მაგრამ, რისგან? რისგან-მეთქი? იქნებ თვით ბედნიერებისაგან, ადამიანური ბედნიერებისაგან, ამ აბრეშუმის საბლისაგან, ნაზი და მომხიბლავი მოვალეობისაგან.

ბედნიერებისაგან... ტუჩები შეუთამაშდა, გეგონებოდათ მზერა საკუთარი სულის სიღრმეში მოაქციაო და სახე ნელ-ნელა ხელებში ჩარგო. აი, იგი მეზობელ ოთახშია. ლამპიდან მოლურჯო შუქი იღვრება. ფანჯარაზე ყვავილებით მოქარგული და ოდნავ დატალღული ფარდა ჰკიდია. საწოლთან დგას, ბალიშზე მისვენებული სანუკვარი არსების თავზე დახრილა... მარგალიტისებრ ფერმკრთალ ლაწვზე ქალს შავი კულული ჩამოშლია და ძილში ბავშვური ბაგები ოდნავ გაუღია... „ჩემო მეუღლევ! ჩემო სიყვარულო! განა იმიტომ დაჰყევი ჩემს კაეშნის ლტოლვას, რომ ჩემთვის ბედნიერება მოგეტანა? ეს შენ ხარ სწორედ! იძინე მშვიდად! ჩემი გულისთვის ნუ მოსწყვეტ ურთიერთს მაგ სათუთსა და გრძელ წამწამებს, სახეზე რომ ჩრდილს გფენენ, ნუ შემომანათებ შენ დიდრონ შავ თვალებს, როგორც ზოგჯერ, როცა მეკითხები რასმე, ანდა დამეძებ. ღმერთს გეფიცები, გეფიცები, ძლიერ მიყვარხარ! ხანდახან არ შემიძლია შენდამი სიყვარული სრულად გამოვხატო, რადგან ხშირად ტანჯვა-წამებითა და ჩემ ჩანაფიქრთან ჭიდილით ვარ მოქანცული ,რომელსაც საკუთარი მეობა მიყენებს და არ ძალმიძს სრულად მოგეცე, მხოლოდ შენში ვეძიებდი ბედნიერებას, რადგან იმას ვემსახურები, რაც ჩემი მოწოდებაა.

ეამბორა, მოსწყდა მძინარე სხეულის საამურ სითბოს, მიიხედ-მოიხედა, უკან გაბრუნდა. ზარის ხმამ მოაგონა, თუ რა დრო გასულიყო, მაგრამ, ამასთანავე, თითქოს ენიშნაო ამ მძიმე საათის კეთილი დასასრული; ამოისუნთქა, ტუჩები მაგრად მოკუმა, მაგიდასთან მივიდა და ფრთას დასწვდა— არ უნდა იყოყმანოს! იგი ერთობ სერიოზულია საიმისოდ, ყოყმანის უფლება რომ ჰქონდეს! ქაოსში არ ჩაიძიროს, ყოველ შემთხვევაში, იქ კი არ დარჩეს, არამედ ქაოსიდან, რომელიც სიუხვეა, დღის სინათლეზე გამოიტანოს ყოველივე, რასაც ფორმის მიღების უნარი შესწევს, რაც მომწიფებულია ამისათვის; არ უნდა იყოყმანოს! უნდა იმუშაოს! შეზღუდოს, გამორიცხოს, ჩამოაყალიბოს, სრულქმნას!

და, მართლაც, სრულიქმნა ეს ტანჯვით შობილი ნაწარმოები! შეიძლება კარგი არ გამოვიდა, მაგრამ უკვე დასრულდა და ბოლოს აღმოჩნდა, რომ კარგიც იყო, და მისი სულიდან, მუსიკიდან და იდეებიდან იშვა ახალი ქმნილებები, წკრიალა და მოციმციმე ხატებანი, რომელთა წმიდათაწმიდა ფორმაში მისი უსაღვრო სამშობლო ისე საოცრად ისახებოდა, როგორც ზღვის ბუბუნი ზღვიდანვე ამოღებულ ნიჟარაში.

გერმანულიდან თარგმნა

გურამ ჭოხონელიძემ

## თენგიზ კაკუშაძე

# ლირიკული ლექსები

●

იმ წისქვილების რაკარუკს ვისმენ
და იმ ქარების მოთქმას და ნანას,
დამჭირდებოდა ნუთუ როდესმე
ვიცოდი, ანდა მე მსურდა განა?
წაბორძიკებულ ბებერი მსხლის ქვეშ
მშვიდი ჩრდილები თუ როგორ წვანან.

აფეთქებულო სიმწვანევ ქარში,
მტვერმა დაბინდა ხვამლის კვადრატი,
რომ ამ სურათებს, მესმოდა მაშინ
გულში ასე ღრმად ჩამიხატავდი?
მარად სიცოცხლის ისევ დამწყებო,
როცა ვიფიქრებ უკვე გათავდი,
მიმობნეულო ხსოვნის მარცვლებო,
მაშინ ხშირ-ხშირად ამითავთავდი!

ჩემი დარია თქვენი ავდარი,
გულის რიტმები თქვენი მორჩილი,
მახსოვრობა მაქვს, ვით კოინდარი,
ძველი ქარებით გადაქოჩრილი,
აპრიალებულ ლიანდაგებზე
გაწოლილია ნატვრის ვნებანი,
მე დავეძებ თუ იგი დამეძებს,
უგულწრფელესი მოჩვენებანი.

ქედები, ღია ლურჯი ქედები,
და სიმყუდროვე ნიგვზის ჩეროთა,
ქარდანაკრავი მიმოვედები,
რომ ეს სიმძაფრე შემომრჩენოდა,
ამ საქართველოს, ამ იმერეთის,
მობორიალე ქარებს და ბინდებს,
მახსოვრობაში, მოწმეა ღმერთი,
მათი ჭრილობა სათუთად მიდევს.

●

მოდი, მზე დათბა, მზე მაშინდელი,
ქუჩებში ისევ ჰყიდიან მიხაკს,
გეპოტინები ორივე ხელით,
ეს გული მაინც მიგაქვს და მიგაქვს.
მოდი, ძველ ქუჩებს გავუყვეთ ისევ,
ძველ ამოსკვნათა ვუსმინოთ ქოროს,
გემუდარები, მოდი და მიხსენ,
სიცოცხლეც უნდა დასრულდეს ბოლოს.

●

ახალგაზრდობის ცისფერ ბაღიდან,
ლადარს უნებურს ალმდგარს ფერფლიდან,
სად ენთო, ანდა როგორ გაღვივდა,
ანდა რაგვარად წამომეკიდა.
შენი არსებით ავსებულ სივრცეს,
ისევ მწყურია შეხება ხელის,
დღეს არაფერი არავინ იცის,
გადავლილ ღრუბლებს არავინ ელის.

●

რად გამომტოვე იმ წვეულებას,
ახლაც მახსოვხარ ვარდისფერ კაბით,
წლები წარსულში გაწვეულები,
დამემშვიდობენ თვალების ნაბვით:
სხვა ხარ, მაშინდელს ახლა არ გადრი,
ის დრო შუქებმა ისევ მოდენეს,
მეც შევიცვალე, მხოლოდ იმ ნატვრის,
მანუგეშებელს ვაგებ მოდელებს.



# საზეიმო აკორდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ლაღიძის ოპერა „ლელამ“ უმალვე ჰპოვა ფართო აღიარება. ამას მოწმობს, სხვათა შორის, ის პირველი და საკმაოდ ვრცელი ტელეგადაცემაც, რომელიც პრემიერიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ რომ გაიმართა. ამ გადაცემაში მონაწილეობდნენ ჩვენი სახელოვანი მუსიკოსები, საოპერო და თეატრალური ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებმაც ახალ ქართულ ოპერას მაღალი შეფასება მისცეს და იქვე განჭვრიტეს კიდეც მისი მომავალი.

რევაზ ლაღიძის ყოველი ნაწარმოები, დაწერილი ამა თუ იმ ჟანრში, შესრულებისთანავე პოულობს მხურვალე გამოძახილს, უმალვე უახლოვდება, ხიბლავს, იზიდავს ადამიანებს. რ. ლაღიძის მუსიკას ხალხთან ურთიერთობის იშვიათი ალღო გააჩნია, მისი გულის აძგერება შეუძლია. ყოველივე ამას რ. ლაღიძე მარტო თავისი სიხალისის, უშუალობის, სიწრფელისა და გულითადობის, თავისი დაუშრეტელი ნიჭიერების წყალობით როდი აღწევს. თუმცა სადღეისოდ ეს, მართლაც, მეტისმეტად გაიშვიათებული თვისებებია. მთავარი და არსებითი კი მაინც ის არის, რომ რ. ლაღიძემ ეს შესანიშნავი შემოქმედებითი თვისებები ჩააქსოვა იმ დიდ განცდაში, რომელსაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია.

მშობლიური მიწა-წყლის ნამდვილი, ვაჟკაცური სიყვარული ანიჭებს მის მუსიკას სინაზესა და ძლიერებას, კეთილშობილებასა და სილამაზეს. ეროვნული არტისტიზმით ფრთაშესხმული ეს მაღალი იდეა მსჭვალავს რევაზ ლაღიძის მთელ შემოქმედებას და მას მაღალ მოქალაქეობრივ ჟღერადობას ანიჭებს. სწორედ ამაშია მიზეზი იმ დიდი სიყვარულის, იმ ნამდვილად სახალხო აღიარებისა, რომელსაც ღირსეულად იმკის რევაზ ლაღიძე, საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი.

ამანვე განსაზღვრა ოპერა „ლელას“ დიდი წარმატება, სახელმწიფო პრემია რომ მიენიჭა ახლახან.

რევაზ ლაღიძის მუსიკა ამოზრდილია ქართული ხალხური მუსიკის დაუშრეტელი ნიადაგიდან. ფოლკლორული ფესვებიდან შეიწოვა და გარდაქმნა კიდეც თავისებურად არა მარტო ქართველი ხალხის მუსიკალური მეტყველების თვითმყოფადი და მდიდარი ლექსიკა, არამედ ვაჟკაცური ტემპერამენტიც, აგრერიგად რომ ამძაფრებს და აკეთილშობილებს ლაღიძისეული ჰანგების ლირიკულ სითბოს, მის რომანტიკულ სიფაქიზესაც.

ბუნებრივია, რომ ასეთი სულიერი წყობის ხელოვანისათვის განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდა სწორედ პატრიოტული ლირიკა, რომლის მიმართაც მოძალებულ ლტოლვას იგი ამჟღავნებს მთელი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე. თვალუწვდენელია პატრიოტული განცდის ეს დიდებული სამყარო, რადგან ამ მწვავე და დაუოკებელი განცდის აღმძვრელი სახეებით გამსჭვალულია მთელი ჩვენი გარემო: ისინი ცოცხლობენ ყველგან — ქართული მიწისა და ცის ყოველ მტკაველზე, მისი მშფოთვარე ისტორიისა და მგზნებარე აწმყოს ყოველ კუნჭულში, ჩვენს დიად ეპოქაში, ქართული ლექსისა და სიმღერის თვითეულ ამოსუნთქვასა და ყოველ ხუროთმოძღვრულ ჩუქურთმაშიაც.

რევაზ ლაღიძე, როგორც ჭეშმარიტი პოეტი და მოქალაქე, ამ კუთხიდან ხედავს და აღიქვამს ჩვენს მრავალფეროვან გარემოს, ამას მოწმობენ მისი ადრინდელი ნამუშევრებიც, მათ შორის სიმფონიური პოემა „სამშობლოსათვის“, რომელიც შექმნილია ილიას პოემის „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ მიხედვით. სწორედ ამ ნაწარმოებიდან იკვლევს გზას რევაზ ლაღიძის პატრიოტული ლირიკა, სხვადასხვაგვარად რომ გამოვლინდა მუსიკალური ხელოვნების ამა თუ იმ ჟანრში, განსაკუთრებით კი სიმღერებში, რომლებმაც ასე გაამდიდრეს ჩვენი მუსიკალური საუნჯე. ასეთებია: „განთიადი“ შთაგონებული აკაკის ლექსით, „ვარძია“, საფუძვლად რომ დაედო მაღალმხატვრული სტრიქონები ირაკლი აბაშიძის ციკლიდან „პალესტინა, პალესტინა“, ხალხური პოეზიით ფრთაშესხმული, უაღრესად კოლორიტული სიმღერა „ტყე შეუნახეთ შვილებსა“, საყოველთაოდ გავრცელებული „სიმღერა თბილისზე“, „სიმღერა ქუთაისზე“, „ოდა მესხეთს“, „ბალადა ვაზზე“. ახლახან კი რ. ლაღიძის პატრიოტულ ლირიკას შეემატა კიდევ ერთი თვალმარგალიტი „დედაენა“ გამსჭვალეული სინაზითა და ომახიანი მგზნებარებით. ამ ნაწარმოებებს არ სჭირდებათ შუამდგომლობა, ისინი ცოცხლობენ ხალხში, როგორც მისი სულიერი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრები.

პატრიოტულ სახეებს ვხვდავთ რევაზ ლაღიძის კინომუსიკაშიც, განსაკუთრებით კი ფილმში „ხევისბერი გოჩა“, რომლის მუსიკა გმირული კეთილშობილებით სუნთქავს.

პატრიოტული სიწრფელე და გულითადობა მსჭვალავს რევაზ ლაღიძის მასობრივ სიმღერებსაც „ჰიმნი პარტიას“, „დიდება ლენინს“, „მიაბიჯებს ოქტომბერი“, რომლებმაც თავიანთი ემოციურობით ფართო გამოძახილი ჰპოვეს.

რევაზ ლაღიძის შემოქმედებითი მიღწევების თვალსაჩინო გამოხატულებად იქცა საავტორო საღამო, რომელიც ახლახან გაიმართა სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. ერთად თავმოყრილმა სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებმა — საოპერო, საგუნდო-სიმფონიური, სასიმღერო-ინსტრუმენტული და კინომუსიკის ნიმუშებმა კიდევ ერთხელ გამოავლინეს კომპოზიტორ-მოქალაქის, კომპოზიტორ-პატრიოტის, კომპოზიტორ-ლირიკოსის მრავალფეროვანი, ჭეშმარიტად დიდი ეროვნული ტალანტი.

**მანანა ახმეტელი**

# ჭადრაკის საამაყო სამეული



## მაია



## ნანა



## ნანა

ეს ტყუ სააახალწლო ნობათი. ახალი წლის მიჯნაზე ისედაც საზეიმოდ განწყობილი თბილისი დიდმა სიხარულმა მოიცვა. ყველგან — შინ თუ გარეთ, ყველას — დიდსა თუ პატარას ამ საამაყო სამეულის — მაიას, ნანას და ნანას სახელი ეკერა პირზე. ხუმრობა საქმე როდია! მაია ჩიბურდანიძემ სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა, ნანა ალექსანდრიამ და ნანა იოსელიანმა მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს და ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

სსრ კავშირის ჩემპიონატის ისტორიაში ჯერ არავის ახსოვს, რომ ერთი რესპუბლიკის წარმომადგენელთ სამი საპრიზო ადგილი დაეკავებინოთ.

ახმაურდა რადიო, ტელევიზია, პრესა. გაზეთმა „პრავდამ" ხოტბა შეასხა მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა 16 წლის (1978 წლის 17 იანვარს მაიას 17 წელი შეუსრულდა) საერთაშორისო დიდოსტატის თვალსაჩინო გამარჯვებას. მაია ჩიბურდანიძე პირველად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლის მფლობელი. გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" მკითხველებმა მაია დეკემბრის თვის ყველაზე პოპულარულ სპორტსმენად გამოაცხადეს, საქართველოს სპორტულმა ჟურნალისტებმა კი იგი რესპუბლიკის 1977 წლის უძლიერეს სპორტსმენთა ათეულში დაასახელეს.

დიდებულად ითამაშა საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონმა დიდოსტატმა ნანა ალექსანდრიამ. მან ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ იგი თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკეა.

ნორჩმა დებიუტანტმა თხუთმეტი წლის ოსტატმა ნანა იოსელიანმა მოფიქრებული და ენერგიული თამაშით, დახვეწილი ტექნიკით, თავისი საბრძოლო შედეგებით ხომ მთელი სპორტული სამყარო განაცვიფრა; ცხრა პარტიაში მან 8,5 ქულა მოაგროვა. ასეთი შედეგი არ ახსოვს დიდ საკავშირო შეჯიბრებებს...

ჟურნალ „დროშის" სარედაქციო კოლეგია, მკითხველები, ქართული საჭადრაკო სკოლის საამაყო სამეულს. მაია ჩიბურდანიძეს, ნანა ალექსანდრიას და ნანა იოსელიანს გულითა და სულით ულოცავენ ბრწყინვალე გამარჯვებას და მომავალშიც თვალსაჩინო გამარჯვებებსა და წინსვლას უსურვებენ მათ საჭადრაკო მწვერვალების დასაპყრობად.


ეროვნული
ბიბლიოთეკა

# №1 ფეხბურთელი

სულ ახლახან გერმანულმა გაზეთმა „დოიჩეს სპორტეხომ" გამოაქვეყნა ევროპის 1977 წლის თერთმეტი საუკეთესო ფეხბურთელის სურათი შესატყვისი კომენტარებით. სხვებთან ერთად აქ ჩვენი თანამემამულე, თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ლიდერი დავით ყიფიანიც არის წარმოდგენილი.

წერილის ავტორი ქვესათაურშივე განსაზღვრავს ქართველი ფორვარდის თამაშის ძირითად თვისებებს. იგი წერს: მისი ძალა კარის აღების დიდი ალღო და შუა მინდორში თამაშის მდიდარი ფანტაზიაა; ყიფიანი „დინამოს" რეჟისორია...

მართლაცდა, ზუსტი მიგნებაა!

წერილში ვკითხულობთ: ყიფიანი მარტო საკუთარი კოლექტივის სული და გული როდია; იგი ქვეყნის № 1 ფეხბურთელადაც არის აღიარებულიო.

ქვეყნის № 1 ფეხბურთელი! ეს, მართლაც, დიდი პატივია. ამაში ადრინდელი ყოველწლიური კონკურს-რეფერენდუმის ლაურეატთა გვარების თვალის გადავლებაც კი გვარწმუნებს. მოსკოვის ტორპედოელები ვალერი ვორონინი და ედუარდ სტრელცოვი, კიევის დინამოელები ანდრეი ბიბა, ვლადიმერ მუნტიანი, ევგენი რუდაკოვი, ოლეგ ბლოხინი, მოსკოვის სპარტაკელი ევგენი ლოვჩევი, არმიელები ალბერტ შესტერნევი, ვლადიმერ ასტაპოვსკი; აი, გამარჯვებულთა სია, რომელსაც ამიერიდან დავით ყიფიანის გვარიც შეემატება.

აღიარება იოლად როდი მოვიდა. იგი დამქანცველი საფეხბურთო მარათონის მეტად მძიმე და რთულ ორთაბრძოლაშია მოპოვებული. დახვეწილი ტექნიკა, ბრძოლისუნარიანობა, კარის აღების უტყუარი ალღო, გონიერება და კიდევ არაერთი თვისებაა, რომელსაც ქვეყნის პირველი ფეხბურთელისაგან მოითხოვენ საკუთარსა თუ სხვათა მოედანზე. ამაში გასაკვირი არაფერია. რეფერენდუმის ზოგიერთ მონაწილეს შესაძლოა მხოლოდ ერთხელ მიეცეს საშუალება ფეხბურთელის თამაშის ნახვისა და დასკვნასაც სწორედ ამის მიხედვით აკეთებს.

ამიტომაც იყო, რომ ციურიხის მატჩის შემდეგ, რაც სეზონის საკმაოდ უხეირო ფინიში გამოდგა, ბევრს ეჭვიც კი შეეპარა, მოიპოვებდა თუ არა დავით ყიფიანი იმ დიდ აღიარებას, რომელიც თითქმის განაღდებული ჰქონდა. მაგრამ აქ გადამწყვეტი სიტყვა მისმა თვითმყოფადმა ნიჭმა, თამაშის ორიგინალურმა მანერამ და, რაც მთავარია, საქმისადმი კეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ განაპირობა. და მართლაც, საქმის სანახევროდ კეთება, სხვას რომ თავი დავანებოთ, შენ სანახავად მოსული აუდიტორიის უპატივცემულობაა.

ეს კარგად ესმის დავით ყიფიანს და, ალბათ, სწორედ ამან ათქმევინა: არ მეგონა თუ ასეთი ძნელი იყო ქვეყნის პირველი ფეხბურთელის გვირგვინი, მან მთელი ძალ-ღონე წამართვა. მიკვირს, როგორ აღწევენ ასეთ წარმატებას რამდენიმეჯერ ზედიზედო.

ეს განცხადება პოზიციების დათმობას ხომ არ ნიშნავს? არა, დავითს ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი!

ყოველდღიური დაუღალავი შრომა, ძიება, მომთხოვნელობა, რკინისებური დისციპლინა მოედანზე თუ პირად ცხოვრებაში, მტკიცე ნერვები, კოლექტივისა და საქმის სიყვარული — აი ერთადერთი გზა, რომელსაც უმაღლესი მწვერვალისაკენ მიჰყავხარ და გუნდის რეჟისორად გაქცევს.

**ოთარ გაგუა**

# ქართული კრივის ავ-კარგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს 1976 წლის გაზაფხულის ერთ ღამეს მოხდა — მოკრივეთა საკავშირო პირველობის ტელერეპორტაჟმა ძილი რომ გაუფრთხო თბილისელებს. შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, თბილისელებს კი არ ეძინათ, ტელეფონით ურეკავდნენ ნაცნობ-მეგობრებს, ერთმანეთს ულოცავდნენ სასიხარულო ამბავს, რომ მათმა თანამემამულემ დავით კვაჭაძემ ეს-ეს არის სვერდლოვსკის რინგზე ქვემძიმე წონის სპორტსმენთა შორის გამართულ ფინალურ ორთაბრძოლაში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

განა რა მოხდა ასეთი, ნუთუ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენისათვის ასე უცხო რამაა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა?

სულაც არა, მაგრამ... კრივისადმი ქართველ კაცს სულ სხვა დამოკიდებულება აქვს და ამიტომაც მიიტანეს ჩვენმა ქომაგებმა გულთან ასე ახლოს ეს დიდი წარმატება... ამას ხომ არც მეტი, არც ნაკლები — ოცდარვა წელი უცდიდა ქართველი კაცი.

მაინც რად უყვართ ჩვენში ასე კრივი?

ერთხელ, საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა ცნობილმა თბილისელმა მოკრივემ გ. ხანუკაშვილმა საერთაშორისო ასპარეზობის შთაბეჭდილება-სპორტული კარიერის შესახებ უთხრა: „ბავშვობაში ძალზე თავნებაც „ვიყავი და მოჩხუბარიც. ბაში ძალზე თავნებაც ვიყავი და მოჩხუბარიც. ჩხუბის ასატეხად მცირე საბაბიც მყოფნიდა. ბევრი არც თავაზიანობა გამაჩნდა და არც ყოფაქცევის ნორმებისა გამეგებოდა რა. ერთი სიტყვით, „ქვეყნის დამქცევი" ვიყავი.... კრივმა აღმზარდა. კაცი რინგზე წესიერ ქცევასა და მტერმოყვარის გარჩევასაც სწავლობს. გესმებათ? აი, რას ნიშნავს, რომ თქვენ მოკრივე არა ხართ".

ჟურნალისტი განაცვიფრა აგრეთვე გ. ხანუკაშვილის პროფესიამ — იგი მესაათეა. სახელოსნოში მშვიდად უზის მაგიდას და საათის თითქმის უხილავ და უწონად ნაწილებს ჩაჰკირკიტებს. და ვინ იფიქრებს, რომ გაბრიელი საქართველოსა და შემდეგ საბჭოთა კავშირის ოურგზის ჩემპიონი იყო სპორტის ისეთ ვაჟკაცურ, მაგრამ ერთი შეხედვით უხეშ სახეობაში, როგორიც კრივია. მართლაც გასაკვირია, რომ ასეთი სათუთი პროფესიის კაცის მარჯვენას შეუძლია ძირს დასცეს მეტოქე. მაგრამ საქმე ისაა, რომ გ. ხანუკაშვილი ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. კრივი ძალას მატებს ადამიანს, ამასთან მასში ფიზიკურ ძალასთან ერთად ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს ნატიფი ოსტატობა და სიზუსტე.

სწორედ ეს თვისებები იზიდავდა რინგის კვადრატისაკენ ქართველ ჭაბუკებს, რომელთაც წარსულში არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს სპორტის ამ სახეობის განვითარებაში. გ. ხანუკაშვილზე დაწვრილებით იმიტომ შევჩერდით, რომ სწორედ ის არის უკანასკნელი წარმომადგენელი ჩვენი რესპუბლიკის ტყავის ხელთათმანის ოსტატთა კოჰორტისა, რომელსაც სსრ კავშირის ჩემპიონთა საპატიო სახელი ეპყრა ხელთ.

დღეს კი საკავშირო რინგზე აღარ ჩანს ქართული გვარები დ. კვაჭაძის გარდა, რომელმაც მეორე ოქროს მედალს ევროპის ჩემპიონის საპატიო წოდებაც შემატა! მაგრამ დავითს არავინ უმაგრებს ზურგს, მის უკან არავინ არ არის. ამის მიზეზია ის, რომ ქართველ ახალგაზრდობას არ იზიდავს სპორტის ეს სახეობა. რატომ? იქნებ იმის გამოც, რომ ჩვენში საგრძნობლად შემცირდა კრივის დარბაზები. მარტო თბილისში ამ ათი წლის წინათ 13 დარბაზი იყო და ოთხილა შემორჩა.

ბევრი დღესაც იმ აზრისაა, რომ ქართული კრივისათვის საგრძნობი დანაკარგი იყო ბესიკის ქუჩაზე მდებარე „დინამოს" დარბაზის გაუქმება. ადრე იქ სპორტსმენთა რამდენიმე თაობა აღიზარდა, სწორედ აქ იმაღლებდნენ ოსტატობას: შალვა გოგრასლიძე, ბორის კალაძე, ბორის მელაძე. ჯუმბერ და ჯიმშერ მეძმარიაშვილები, ანდრო ნავასარდოვი, გიორგი ვართანოვი, ლევან ღუდუშაური, ზურაბ კანდელაკი, შალვა დვალი, მიხეილ ნაბიჭვრიშვილი, ვლადიმერ ძნელაძე, ბორის კვინიხიძე და ბევრი სხვა.

მოკრივეთა ამ თავისებური „ცენტრის" პოპულარობა მისმა ადგილმდებარეობამ განაპირობა. საქმე ისაა, რო ამ უბნის, მთაწმინდის რელიეფი ხელს არ უწყობს მოძრავი თამაშების — ფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთის, რეგბის განვითარებას და აქაურ ყმაწვილებთან ერთად მეზობელი უბნებიდანაც მოდიოდნენ მუხლისა და მკლავის გასაშლელად. დარბაზში კი მათ გულღიად ხვდებოდნენ მწვრთნელები.

დღეს კი სულ სხვა სურათია. დარბაზთა სიმცირის გარდა ის ბაზებიც, რაც ჩვენს ქალაქს შემორჩა, ვერა და ვერ გამოდგებიან ამ სახეობის განვითარებისათვის.

ავილოთ ჭავჭავაძის პროსპექტის ერთ-ერთი შენობის სარდაფში განლაგებული კრივის პატარა დარბაზი, რომელიც თბილისის განათლების განყოფილებას ეკუთვნის, იგი თუ შეიძლება ასე ითქვას, თავიდანვე განწირული იყო, რადგან ვაკის რაიონში ბიჭები ოდითგანვე ბურთს დასდევენ და კრივი ფეხბურთის ღირსეული მეტოქე ვერა და ვერ იქნება. აღარაფერს ვამბობ თვით ამ ბაზის ღირსებებზე, მას დარბაზი მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ეწოდოს, თორემ იგი ნამდვილი სარდაფია — ვიწრო და ბნელი, სადაც წვრთნის ელემენტარული საშუალებაც კი არ არის. ხალვათობასა და კომფორტზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. სწორედ ამიტომ როცა ერთ ადგილზე ვაუქმებთ დარბაზს და ვაპირებთ მეორე ადგილას გახსნას, უნდა გავითვალისწინოთ ძველის არსებობასთან დაკავშირებული ტრადიციები.

კრივის ჩამორჩენის მთავარი მიზეზი (ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა სსრ კავშირის ხალხთა ბოლო სპარტაკიადაზე, სადაც საქართველოს გუნდი ძირითადად „იმპორტირებული" მოკრივეებით — გოროდილოვი, ულიანიჩი და სხვა წარსდგა და მეექვსე ადგილზე გამოვიდა) საქმე ისაა, რომ რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მის განვითარებას, სპორტის ამ სახეობაში არ აბამენ ახალგაზრდობას. ამან საგრძნობლად დააკნინა ქართული კრივი, აღარავინ ზრუნავს ახალი სახელების აღმოჩენაზე, გაქრა საზოგადოებებს შორის კონკურენცია.

თავიდანვე ცხადი იყო, რომ ასეთ ვითარებაში, საქართველოს წარგზავნილები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ვერაფრით დაიტრაბახებდნენ.

როგორც წესი, მოკრივეები 17-18 წლის ასაკში იმარჯვებენ „დიდ რინგზე". ამის ცხადყოფა ქართველ სპორტსმენთა წარსულიდანაც შეიძლება... მაგალითად, მიხეილ ნაბიჭვრიშვილი 18 წლის იყო, როცა პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე გაიმარჯვა. მასზე ერთი წლით უფროსი იყო ბორის კვინიხიძე, როცა ამ ტიტულს დაეუფლა. ბევრს ახლაც ახსოვს 18 წლის ვლადიმერ ძნელაძის ბრწყინვალე გამარჯვება სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონ გ. ვართანოვთან შეხვედრისას. ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ ჩვენთან ათეული წლობით პერსპექტიულ მოკრივეებად რაცხენ მხოლოდ სპორტსმენებს, რომელთაც რინგზე ჯერაც არ უთქვამთ თავიანთი სიტყვა.

სად არიან ნამდვილი პერსპექტიული 17-18 წლის ჭაბუკები?

საქართველოში კრივის ჩამორჩენა ბევრს ჯერ კიდევ არ აღელვებს. ეს პირველ რიგში სსრ კავშირის კრივის ფედერაციაზე ითქმის, რომელსაც პრაქტიკულად არაფერი უღონია იმისათვის, რომ ჩვენთვის დახმარება გაეწია. თბილისში არ იმართება დიდი მასშტაბის შეჯიბრებები. უფრო მეტიც, 1948 წლის შემდეგ არ გათამაშებულა სსრ კავშირის ოქროს მედლები. ასეთი ასპარეზობანი კი დიდ პროპაგანდას გაუწევდა კრივს მოზარდთა შორის. ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი მშობელი, რომელიც კრივს „მოჩხუბრების საქმედ" თვლის, ძალზე ცდება. პირიქით, კრივი მოზარდს ჭეშმარიტად რაინდულ ჩვევებს უნვითარებს და უფრო თავაზიანსაც ხდის. რაც მთავარია, ფიზიკურად აწრთობს მას. ამიტომაცაა იგი ინგლისის კოლეჯებში ერთ-ერთი აუცილებელი დისციპლინა. ჩვენ, რასკვირველია, ვლაპარაკობთ სამოყვარულო კრივზე, რადგან მას და პროფესიონალურს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ნამდვილ დუელსა და ფარიკაობას შორის. ბევრმა მშობელმა ალბათ, არც ის იცის, რომ „მექსიკელისა" და „ხორცის ნაჭერის" ავტორი თავად იყო კრივის დიდი მოტრფიალე და ქომაგი. ჯეკ ლონდონი იმდენად კარგად იყო დაუფლებული ამ ვაჟკაცურ სპორტს, რომ ჯ. დემპსეის სეკუნდანტობაც ითავა, როცა ეს უკანასკნელი მსოფლიო პირველობაზე გამოდიოდა.

სპორტის ამ სახეობით იყვნენ გატაცებულნი ალექსანდრე პუშკინი, ჰემინგუეი, ა. ნოვიკოვ-პრიბოი, ა. ლუნაჩარსკი...

ქართველი კაცი ოდითგანვე დიდად აფასებდა კრივს, იგი ხომ თვით მისი ბუნებიდან გამომდინარეობს? ყოველ შემთხვევაში, ეს ვაჟკაცური სპორტი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩვენში და ამ კარგ ტრადიციას გაფრთხილება და გაგრძელება უნდა.

უშანგი ჭიჭინაძე,
თბილისის კრივის ფედერაციის წევრი.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

# ამბის ყვავილი

## იუმორისტული მოთხრობა

ვერ წარმომედგინა მაშინ, ჩვენი დაბის თეატრზე უკეთესი თეატრი ამ ქვეყნად სადმე თუ არსებობდა.

რა დიდი დღესასწაული იყო ჩემთვის ყოველ წარმოდგენაზე დასწრება! თავს რომ მაყურებელთა დარბაზში წარმოვიდგენდი, ტანში სასიამოვნო ჟრუანტელი მივლიდა. ღმერთო, რა საზეიმო წუთები იყო, როცა ვიჯექი და ფარდას თვალს არ ვაშორებდი, როდის გაიხსნებოდა.

კარგად ვიცოდი, სპექტაკლი საღამოს რვა საათის მაგიერ ღამის 12 საათზე დაიწყებოდა, მაინც დაწყებამდე ბევრად ადრე მივდიოდი, იქნებ კარი მალე გააღონ და წინა ადგილი დავიკავო-მეთქი (სკამები არ ინომრებოდა და ადგილები მისწრებაზე იყო).

იმ საღამოს მეზობლის გოგოები დიდი ამბით გამოვეწყვეთ, ჩავიცვით თუ რაიმე საუკეთესო გვქონდა, თმების ვარცხნას გადავყევით და თეატრში წავედით.

თეატრის კარებს უშველებელი ბოქლომი ედო, შენობის წინ რამდენიმე სათეატროდ გამოწყობილი ქალი და კაცი იცდიდა.

— რვა საათზე ნაწყებარა, — უთხრა წითელრედიკულიანმა ქალმა მამაკაცს.

კარგა ხნის შემდეგ მოვიდა თეატრის დირექტორი, კარებს ბოქლომი ჩამოხსნა და ბილეთების გასაყიდად მოემზადა.

თეატრის დარბაზი თანდათან ივსებოდა მორთულ-მოკაზმული ხალხით.

ასე, ღამის 12 საათისათვის, როცა დარბაზი გაიჭედა და ფეხზე დასადგომ ადგილსაც ვერ იშოვიდით, დგომით ქანცგაწყვეტილი საზოგადოების ერთმა ნაწილმა ტაშის ცემა ატეხა, რის გამოც ფარდა ოდნავ გადაიწია და დირექტორის ცალმა თვალმა დარბაზი შეათვალიერა: აბა, თუ გაივსო მაყურებლითო.

პირველ საათს ცოტა აკლდა, წარმოდგენა რომ დაიწყო. მიდიოდა პიესა, რომელშიც ნაჩვენები იყო დაუდგენელი ეროვნების ბრძოლა სასტიკ დამპყრობლებთან. მეომარი პატრიოტის მთავარ როლს ასრულებდა მათემატიკის მასწავლებელი ვარლამი, მტრის ოფიცერს — კლუბის მთავარი ბუღალტერი სევერიანე, გმირი პატრიოტის შეყვარებულის როლს შესანიშნავად ასრულებდა ბანკის მოლარე ფაცია.

ფაციას ოცნებად ჰქონდა გადაქცეული მსახიობი გამხდარიყო, მაგრამ დედამისმა ზაბლონამ მთლად დააქცია კივილით ქვეყნიერება: რომ შეგეშალოს იქინე რამე და სიცილი დაგაყაროს ხალხმაო; მაგრამ ფაცია არ ეპუებოდა და ხანდახან დედამისის ჩუმად გამოდიოდა სცენაზე.

ხალხი სულგანაბული ადევნებდა თვალყურს სპექტაკლის მსვლელობას: გმირ მებრძოლ ხალხს, რომელიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა თავისუფლებისათვის, მაყურებელი მთელი არსებით თანაუგრძნობდა.

დაიწყო მეხუთე მოქმედება, ბობოქარ პატრიოტს, რომელსაც ვარლამი ანსახიერებდა, მთელი ოთხი მოქმედების მანძილზე დევნიდნენ დამპყრობლები, მაგრამ მხოლოდ მეხუთე მოქმედების ბოლოს მოხერხდა მისი ხელში ჩაგდება. ვარლამის დანაშაულებრივი მოქმედებანი მტრის წინაშე იმდენად დიდი იყო, რომ დახვრეტას ვერაფრით დააღწევდა თავს, რასაც თვით თავდავიწყებული პატრიოტიც კარგად გრძნობდა.

და აი, გაკოჭილი ტყვე ოთხმა დამპყრობელმა შემოიყვანა სცენაზე. გმირს თავი ღირსეულად ეჭირა.

— აბა, თქვი სად იმალებიან შენი ამხანაგები?! — ცივი, გამყინავი ხმით შეეკითხა ოფიცერი, რომლის როლს შესანიშნავად ასრულებდა ბუღალტერი სევერიანე.

— თქვენ გინდათ, რომ მე მათქმევინოთ სად არიან ჩემი ამხანაგები? — დაბალ ხმაზე დაიწყო პატრიოტმა და მერე თანდათან აუწია ტონს, — ჰა, ჰა, ჰა, ჰა — სარკასტულად გაიცინა მან და მოჰყვა მოწინააღმდეგეთა ლანძღვას: — თქვენ, სისხლისმსმელებო, მართალია მომკლავთ, მაგრამ შორს არ არის ის დღე, როდესაც მთელი თქვენი ხროვა სისხლის მორევში ჩაიხრჩობა!..

ამ დროს ავტომატის ჯერი გაისმა.

ვარლამმა გულთან მიიტანა ხელი, ოდნავ წაბარბაცდა, „არაფერია“, — ხმადაბლა თქვა და უფრო ხმამაღლა განაგრძო:

— თქვენ გინდათ ამხანაგებს ვუღალატო, კაციჭამიებო, მაგრამ ვერ მოესწრებით, ჩემი ამხანაგები იქ არიან, სადაც საჭიროა!..

კვლავ ავტომატის ჯერი. პატრიოტი მოიხარა და მუცელზე წაივლო ხელი. „არაფერია“ ,— თქვა ხმადაბლა, ხმამაღლა კი განაგრძო:

— ო, როგორ მეზიზღებით, პირსისხლიანებო, როგორ მინდა ეს ამ ხელებით დაგახრჩოთ, ო, ერთი ბორკილები არ მქონდეს ამ დახაფრულ ხელებში გაყრილი, მე თქვენ გიჩვენებდით!..

კვლავ ავტომატის ჯერი. გმირი კიდევ უფრო მოიხარა, ახლა წელზე წაივლო ხელი. „არაფერია“, — თქვა ხმადაბლა და შემდეგ მგრგვინავი ხმით განაგრძო:

— კაციჭამიებო, მე მომკლავთ, მაგრამ იმ მილიონებს რაღას უზამთ თქვენს მოსასპობად რომ დაძრულან; ჩემი ამხანაგები გადაგიხდიან ხამაგიეროს!

რამდენიმე ავტომატი ერთად აკაკანდა. „არაფერია“, — კვლავ ჩაილაპარაკა დიდმა პატრიოტმა და „ტყვიებისაგან მთლად დაცხრილული“ დაეცა.

დარბაზში სამარისებური სიჩუმეა.

დირექტორმა ფარდის დასახური თოკი მოსწია, მაგრამ ფარდა არ დაიხურა. ნერვიულობისაგან ხელებაკანკალებულმა ბევრი უჩხიკინა, შემდეგ კარგა მაგრად შეუკურთხა, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა.

ძირს გაშოტილი ვარლამი, რომელსაც ეგონა, ფარდა უკვე დაიხურა, კმაყოფილი სახით წამოდგა, გაიჯგიმა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და იქვე მდგარ „არამზადებს“, რომლებმაც იგი „დახვრიტეს“, ცერი უჩვენა და თავისი უბადლო ოსტატობით კმაყოფილმა, თქვა:

— ხომ ასე შევასრულე?!

დარბაზში ხარხარი ატყდა. ვარლამი შეკრთა, ხალხს შეხედა და სასწრაფოდ ისევ ძირს განერთხა.

ფარდა, როგორც იქნა, დაიხურა. კმაყოფილმა მაყურებელმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა მსახიობები.

მეხუთე საათი იქნებოდა, სპექტაკლი რომ დამთავრდა. შორიდან გათენების მაუწყებელი მამლების ყივილი მოისმა.

— ამბაკო, ამბაკო! — ეძახოდა მეზობელი მეზობელს, — თეატრი გამოსულა, ყანაში წასვლის დროა!

**ნანა მჭედლიძე**

# ცოცხალი სეისმოგრაფები

ბუნებაში გვხვდებიან ცხოველები, რომლებიც გვანცვიფრებენ თავიანთი „პროფესიებით“. არიან ცხოველები — ბარომეტრები, ცხოველები — არქიტექტორები და ა. შ. ასეთ ცხოველთა შორის განსაკუთრებით საინტერესო არიან ცხოველები — სეისმოგრაფები.

მეცნიერებას ცხოველთა მიერ მიწისძვრის წინაგრძნობის მრავალი ფაქტი გააჩნია. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს.

1948 წელს აშხაბადში ძლიერი მიწისძვრიდან ორი საათით ადრე, ერთ-ერთი ცხენთსაშენის ცხოველებმა მოულოდნელად ხმამაღალი ჭიხვინი ატეხეს, ზოგიერთმა ცხენმა აღვირი გაწყვიტა და თავლიდან გაიქცა.

ცხენები დიდი ვაივაგლახით დაიჭირეს და თავიანთ ადგილებზე დააბეს.

და აი, ძლიერი მიწისძვრიდან ხუთიოდე წუთით ადრე, უჩვეულოდ გაშმაგებულმა ცხენებმა თვალის დახამხამებაში ისევ გაწყვიტეს საბმელები და უკუნეთ წყვდიადში გავარდნენ.

ვიდრე მეჯინიბეები გონს მოეგებოდნენ, მიწის წიაღი ძლიერად შეტორტმანდა და თავლა ხუხულასავით დაინგრა...

დამანგრეველი მიწისძვრიდან რამდენიმე საათით ადრე, იუგოსლავიის ქალაქ სკოპლეში ზოოპარკის ბინადარი ზოგიერთი ცხოველი პანიკამ მოიცვა. სტიქიურ უბედურებამდე ოთხი საათი იყო დარჩენილი, როცა შემზარავად აყმუვლდა გარეული ძაღლი დინგო. მას სხვა ცხოველებმაც მისცეს ბანი. საწყალობლად მოთქვამდა ხორთუმშემართული სპილო, აცქმუტდა მუდამ ზანტი და მოუხეშავი ბეჰემოტი. ნადირთა კოშმარულ კონცერტს ზოგიერთმა ფრინველმაც აუბა მხარი.

მერე ყველანი მიყუჩდნენ, უჩვეულო სიჩუმემ დაისადგურა, შეშფოთებული ნადირ-ფრინველები გალიების ყველაზე შორეულ კუნჭულებში მიიყუჟნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ — 1963 წლის 26 ივლისს, 5 საათსა და 17 წუთზე ძლიერმა ბიძგმა შეაზანზარა ქალაქი სკოპლე...

ამ რამდენიმე წლის წინათ იაპონიის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სეისმოგრაფიულად ყველაზე აქტიური რაიონების მცხოვრებლებს მოწოდებით მიმართა... გაემრავლებინათ აქვარიუმის თეთრი თევზი.

დაკვირვებით დადასტურდა, რომ ეს თევზები მიწისძვრიდან რამდენიმე საათით ადრე გრძნობენ მოახლოებულ საფრთხეს და მოუსვენრად აწყდებიან აქვარიუმის კედლებს.

ახლახან ცდებით დადასტურდა, რომ წყლის როჭო თავისი ბეწვის მეოხებით გრძნობს 000 000 004 მილიმეტრი სიმაღლის ტალღებს. კალია რეაგირებს რხევებზე, რომელთა ამპლიტუდა წყალბადის ატომის დიამეტრის ზომისაა. კიდევ უფრო მგრძნობიარეა ზოგიერთი კუტკალია. ეს იმას ნიშნავს, რომ მოს-

# ინგლისური იუმორი

კაპიტანი: — ის, რაც იცი სად არის, დაკარგული არ არის.

მეზღვაური: — სერ, თქვენი ჩაიდანი დაკარგული არ არის, მე ვიცი, იგი ზღვის ფსკერზეა.

□

— თქვენ 3 წუთში დახატეთ ეს სურათი, რატომ მთხოვთ 30 გირვანქა სტერლინგს?

— იმიტომ რომ, 30 წელი ვსწავლობდი 3 წუთში სურათის დახატვას.

□

— ის ჯენტლმენი ამას წინათ ორი საათით ვარბენინე.

— როგორ?

— მე გავრბოდი და ის მომდევდა.

□

— თქვენი ბავშვი უკვე დიდია, რატომ აუღეთ ნახევარი ბილეთი?

— მატარებელი ისე ნელა მიდის, რომ ჩემი ბავშვი მგზავრობაში გაიზარდა.

□

დაბნეულმა პროფესორმა ძროხას გაუსწრო და უნებურად შესძახა: „მაპატიეთ, ქალბატონო!"

ცოტა ხნის შემდეგ პროფესორმა ქალს გაუსწრო, თავისი შეცდომა გაახსენდა და ასე გამოასწორა იგი: „ისევ შენა ხარ, წყეულო!"

□

ექიმი: — თუ გინდათ გამოჯანმრთელდეთ, შეწყვიტეთ ხორცის ჭამა, თამბაქოს წევა, ვისკის სმა... მოიცათ, სად გარბიხართ?.. რატომ არ მაძლევთ ჩემს გასამრჯელოს?

პაციენტი: — რატომ უნდა მოგცეთ გასამრჯელო? რაც მითხარით, არაფრის შეწყვეტას არ ვაპირებ!

□

ჯენტლმენი: — მე თქვენ შემწვარი ინდაურის ნახევარი შეგიკვეთეთ, რატომ არ მოგაქვთ?

ოფიციანტი: — ველოდებით მეორე კლიენტს, რომელიც მეორე ნახევარს შეგვიკვეთავს.

ინგლისურიდან თარგმნა
**მედეა რუსაძემ.**

# პირველად

✦ 25 წლის სპორტსმენი როზმარ აკერმანი (გდრ) მსოფლიოში პირველი ქალია, რომელმაც ხტომაში ორ მეტრზე მეტი სიმაღლე დასძლია.

იგი გადაევლო 202 სანტიმეტრზე დადებულ თასმას.

✦ პირველი დიდი საავტომობილო რბოლა გაიმართა 1895 წელს — მარშრუტით: პარიზი-ბორდო-პარიზი.

რბოლაში გამარჯვებული გამოვიდა ვინმე ა. ლევასარი, რომლის მანქანა საათში 24 კილომეტრს გადიოდა.

✦ 1926 წელს გამოიცა მ. საყვარელიძის წიგნი „ჭადრაკი".

ეს წიგნი ქართულ ენაზე პირველი სახელმძღვანელო იყო ჭადრაკში.

✦ იაპონიაში დამზადდა ახალი პრეპარატი „ენამიტი". მას ჯანსაღ კბილებზე აკრავენ.

სტომატოლოგიურ პრაქტიკაში ეს პრეპარატი პირველია, რომელიც კბილებს 5 წლის მანძილზე საიმედოდ იცავს სხვადასხვა დაავადებისაგან.

✦ შაქრის პირველი ქარხანა საფრანგეთში აშენდა.

მსოფლიოში შაქრის მეორე დიდი ქარხანა ტულაშიააშენეს.

✦ ხიდან ქაღალდის დამზადება პირველად... კრაზანებმა დაიწყეს.

ისინი ხეს აძრობენ თხელ ბოჭკოებს, ერთმანეთზე ნერწყვით აწებებენ, ტკეპნიან და იღებენ ქაღალდის ფირფიტებს, რომლებსაც ბუდეების დასათბუნებლად იყენებენ.

✦ თბილისში ელექტროგანათება პირველად მოეწყო 1897 წელს.

✦ პირველი სართავი მანქანა დაამზადა დალაქმა არკრაიტმა, პირველი ორთქლის მანქანა — მესაათე უატმა, გემი — მუშა იუველირმა ფულტონმა; ჟანგბადი პირველად აღმოაჩინა ღვთისმეტყველმა პრისტლიმ; პირველი ფერადი ფოტოგრაფირება მოახდინეს ამერიკელმა მუსიკოსებმა ლიგოდოვსკიმ და მერესმა.

✦ ელექტროუთო გამოიგონეს 1893 წელს, მაცივარი — 1912 წელს, ვენტილიატორი — 1916 წელს, ელექტროსამართებელი — 1921 წელს...

კოვის ოლქის კუტკალიებს შეუძლიათ დააფიქსირონ მიწისძვრა შორეულ აღმოსავლეთში(!!!).

ბიონიკის მიერ დაგროვებული ფაქტების საფუძველზე შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ არ არსებობს მიწისძვრა, რომელიც წინასწარ არ იგრძნოს ზოგიერთმა ცხოველმა. მათი ტალღების შეგრძნობის უნარი თანამედროვე სეისმომექანიზმთა უმრავლესობაზე უფრო ზუსტია.

მოახლოებული მიწისძვრის გამაფრთხილებელ სიგნალს ცხოველებისათვის წარმოადგენს დედამიწის წიაღის „ხმა" — ინფრაბგერები (ცხადია, ეს ერთადერთი ფაქტორი როდია). ადამიანის სმენისათვის მიუწვდომელი ეს ბგერები შესანიშნავად ესმის ზოგიერთ ცხოველს.

როგორც ჩანს, სტიქიურ უბედურებათა წინათგრძნობის უნარი ყველაზე უკეთ აქვთ განვითარებული სეისმურად აქტიური რაიონების ძირეულ მკვიდრთ. ისინი უხსოვარი დროიდან მუდმივად ეჯახებიან მიწისძვრებით გამოწვეულ საშიშროებებს. ამიტომაც არის, რომ მათ „პროგნოზირების" უნარი უკეთ აქვთ განვითარებული.

ამ უნარის ღრმად და ამომწურავად შესწავლა სხვადასხვა ბიონიკური ხელსაწყოების შექმნის შესაძლებლობასაც იძლევა.

არნოლდ გეგეჭკორი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# კაკალ გულში



— სწორად გვითხრა ამათმა ხელმძღვანელმა, საათივით მაქვს აწყობილი საქმეო.



— რევიზორი აქტის დაწერას აპირებს და ერთი ვარდისფერი სათვალე მომეცი.




— რა დაემართა ვარდენს, თუ იცი?
— მექისესთან მასაჟი ბილეთით გაიკეთა!




უსიტყვოდ.

# ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲓᲐᲣᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ

● 56 წლის ამერიკელმა მაიკლ მარინიმ თავისებური რეკორდი დაამყარა. იგი ბოროტმოქმედებმა 83-ჯერ გაძარცვეს, დანით დაჭრეს, ნეკნები ჩაუმტვრიეს, ცხვირი გაუტეხეს, სამი ათასი დოლარი წაგლიჯეს.

მაიკლი 20-ჯერ მოხვდა საავადმყოფოში, მაგრამ თავს მაინც კარგად გრძნობს.

● ინგლისის ერთ-ერთი ფირმა „სინკლერ რადიონიკსი" აპირებს, მასიურად გამოუშვას... ჯიბის ტელევიზორები.

ტელევიზორის წონა 750 გრამია. იგი ჩვეულებრივი ბატარეით იკვებება.

● მოგების მიზნით თავბრუდახვეულმა ამერიკის შეერთებული შტატების კომპანია „ჰასიფიკ ჰოუმ პროდაქტსიმ" გადაწყვიტა, გამოუშვას ზეწრები, რომლებზეც აღბეჭდილი იქნება... პიკასოს სურათების რეპროდუქციები.

● გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ხეხენშვანდში ამჟამად მოქმედებს ავტომატი, რომელშიც 14 მარკის ჩაგდების შემდეგ, შეგიძლიათ მიიღოთ... ბიბლია.

● ლონდონელი ჟურნალისტი კევინ მერფი ერთგვარი ჩემპიონია ლამანშის გადაცურვაში.

დღემდე მან ლამანში გადაცურა... ცხრაჯერ.

● ამას წინათ სამხრეთ კორეის ქალაქ ირიშის რკინიგზის სადგურში 30 ტონა დინამიტით დატვირთული მატარებელი... აფეთქდა.

ქალაქი თითქმის მთლიანად დაინგრა. უსახლკაროდ დარჩა 14 ათასამდე კაცი, მძიმედ დაზიანდა 1. 400 ადამიანი.

მატერიალურ ზარალს დაახლოებით 20 მილიონ დოლარად აფასებენ.

● სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ დედამიწა... „სუნთქავს".

მისი ქერქი დღე-ღამეში ორჯერ რამდენიმე სანტიმეტრით იბურცება და შემდეგ ისევ დაბლა ეშვება.

● გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ასეთი საინტერესო ცდა ჩაატარეს: ერთ-ერთ დაწესებულებაში, რომელიც 26-ე სართულზეა მოთავსებული, რამდენიმე თანამშრომელი ფეხით, სხვები კი ლიფტით ადიოდნენ სამუშაო ადგილზე.

10 კვირის შემდეგ ექიმებმა დაადგინეს, რომ თანამშრომლებს, რომლებიც ლიფტით სარგებლობდნენ, ჯანმრთელობის მდგომარეობა არ შეცვლიათ; ფეხით მოსიარულე თანამშრომლებს მნიშვნელოვნად გაუუმჯობესდათ გულის, ფილტვების, სისხლის მიმოქცევის მოქმედება.

● ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკანასკნელ წლებში სხვადასხვა ქვეყნის პოლიციას მიჰყიდა 350.000 პისტოლეტი, 10.000 შაშხანა და ავტომატი, 155.000 ხელყუმბარა, 296 ჯავშნიანი მანქანა და 6.600 ქიმიური იარაღის კონტეინერი.

● ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან სამედიცინო მომსახურებას მოკლებულია 120.000.000-ზე მეტი ადამიანი.

იმ ადამიანთა ორ მესამედს, რომლებსაც სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის საშუალება არ გააჩნიათ, ქალები და 15 წლამდე ბავშვები შეადგენენ.

გარეკანის პირველ გვერდზე: კურსანტები. ალექსანდრე სააკოვის ფოტო. მეორე გვერდზე: პლაკატი. მხატვარი თენგიზ სამსონაძე.

# ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა



შვეულად: 5. ქიმიური ელემენტი; 7. ბაირონის პოემა; 8. მუსიკალური ნაწარმოების ზომიერად ჩქარი ტემპი; 10. კონტინენტი; 11. ძველებური ფრანგული ფული; 12. მოკლე სატირული ლექსი; 13. რ. რაიტის ნაწარმოების პერსონაჟი; 14. უმაღლესი სასწავლებელი; 19. მასობრივი მსვლელობა; 26. ტექნიკური კულტურა; 27. თანაზომიერება; 28. თიხის ჭურჭელი; 30. ელექტროკავშირგაბმულობის სახე; 31. საერთაშორისო ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება; 32. ლიტერატურული ნაწარმოები; 33. დაწესებულების, ორგანიზაციის რწმუნებული.

თარაზულად: 1. ძიუ-დოს სახეობა; 2. ერთი სახელმწიფოს თავდასხმა მეორეზე; 3. ორბიტის უახლოესი წერტილი დედამიწასთან; 4. გამოჩენილი ფრანგი ფერმწერი; 6. საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; 7. ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური ჩანაწერი; 9. ალ. ყაზბეგის ნაწარმოების გმირი; 10. ბოსტნეული; 15. გამარჯვების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 16. აკრძალვა სახელმწიფო სამართალში; 17. ჩასაბერი საკრავი; 18. შენობების ნაწილი; 20. საბჭოთა მწვრთნელი ფეხბურთში; 21. ლითონის წვრილი ჩხირი; 22. ქართველი მოჭიდავე; 23. პროფესიონალი რევოლუციონერი; 24. მოწმობა განათლების მიღების შესახებ; 25. ნიმუში; 26. მამხილებელი, გამკიცხავი ნაწარმოები ლიტერატურასა და ხელოვნებაში; 29. ევროპის სახელმწიფო.

კროსვორდი შეადგინა ნ. ნასუაშვილმა

## ჟურნალ „დროშის" № 1-ში დაბეჭდილი კროსვორდის პასუხები

შვეულად: 1. ბატალისტი. 2. ბაკალეა. 3. დარვინი. 5. ნანა. 7. იაგო. 10. ანანასი. 11. ლეგენდა. 13. ტაქტიკა. 14. იარლიყი. 15. „დაისი". 16. აკაკი. 20. აკროსტიქი. 22. ზმნა. 23. ინსაიდი. 24. ავიაცია. 25. რიგა.

თარაზულად: 4. არქტიკა. 5. ნონა. 6. ვანი. 8. ლაზიერი. 9. ბატალია. 12. ისტორია. 15. დაირა. 17. მანომეტრი. 18. ავსტრალია. 19. ირანი. 21. ზიგზაგი. 24. ანარქია. 26. სუპორტი. 27. არია. 28. არფა. 29. დებიუტი.

გადაეცა ასაწყობად 6. 1. 78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 13. 2. 78 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 54.000. შეკვ. 92. უე 07423. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-89.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.




ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა დიდი სპორტსმენი სარბიელს ტოვებს, მის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთ ყოველთვის სინანულის გრძნობა ეუფლებათ — რატომღაც ნაადრევად თვლიან სპორტსმენის ამ ნაბიჯს, მიაჩნიათ, რომ მას კიდევ საკმაო ხანს შეეძლო წარმატებით ესპარეზა და ახალი მიღწევებით გაემდიდრებინა თავისი სპორტული ბიოგრაფია. შეიძლება ეს ასეც იყოს. მაგრამ, ალბათ, ჭეშმარიტება თვით სპორტსმენის მხარეზეა. მან უკეთ იცის, რომ თავისი სათქმელი უკვე თქვა და დროა, ასპარეზი სხვებს დაუთმოს...

კარგა ხანია მაყურებელს აღარ ატყვევებს თავისი ვირტუოზობით ჩვენი დროის გამოჩენილი ველოსიპედისტი ომარ ფხაკაძე. სსრ კავშირის ათგზის ჩემპიონმა და ოლიმპიურ თამაშობათა პრიზიორმა წერტილი დაუსვა საკუთარ გამარჯვებათა გრძელ რიგს. მაგრამ მისი სპორტული ცხოვრება გრძელდება, ოღონდ ახალ ამპლუაში.

ომარ ფხაკაძე დღეს საქართველოს ველოსიპედისტთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელია. ალბათ, თვითონაც დაგვეთანხმება, თუ ვიტყვით, რომ მწვრთნელის პროფესია შეიძლება უფრო რთულიც იყოს, ვიდრე უშუალოდ ტრეკზე გამართული ორთაბრძოლა. აქ მარტო გამოცდილება არ კმარა, პედაგოგის უნარი, ალღო და ტაქტიც უნდა გქონდეს...

საქართველოს ნაკრებ გუნდში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა.

სპორტის ოსტატი გივი დვალიშვილი ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრია და მონაწილეობდა 1976 წელს ავსტრიაში გამართულ მსოფლიო პირველობაზე, ემზარ გელაშვილი სსრ კავშირის 1977 წლის ჩემპიონია ჭაბუკთა შორის, ჩინებული შედეგები აქვთ სპორტის ოსტატებს პეტრე ჩევარდოვს, ანატოლი სივოჟელეზოვს, ოსტატობის კანდიდატებს კონსტანტინე იოვიძეს, რევაზ ცხადაძესა და სხვებს.

თავიანთი სახელოვანი დამრიგებლის გამარჯვებათა გზით ევლოთ მათ!

ალექსანდრე სააკოვის ფოტო









კოჯორი ზამთარში.

თარხან არჩვაძის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056